ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 21 ოქტომბერი 2004 №245 (2266) ფასი 50 თეთრი




# ჩვენი ლიგა დღესაა

ნამდვილი თამაში!

რახან მობრუნდა ნამდვილი ევროპული ფეხბურთი თბილისში, ჩვენც ნამდვილ თამაშს ვითხოვთ, მეტს არაფერს.

ბოლო დროს თქვენვე დაგვაჩვიეთ და იმიტომ.

განა არ ვიცით, რომ თბილისის „დინამო“ ხორცსაკეპ მანქანაშია მოხვედრილი? ვიცით, მაგრამ ამდენი წლის უქმობის შემდეგ „დინამო“ ოქტომბრის მიწურულამდე მივიდა ევროპულ თამაშებში და ზამთრამდე იქ იქნება.

რახან ასეა, მან უნდა იბრძოლოს და ნამდვილი ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

ამის შეხსენება „დინამოს“ არ სჭირდება, არც მის გულშემატკივარს სჭირდება იმის შეხსენება, რომ ფეხბურთში ძალიან დიდი ოფლია საჭირო და, წააგებს თუ მოიგებს ჩვენი გუნდი — ის ნამდვილ ფეხბურთს ეცდება.

ნამდვილი ფეხბურთი კი წრფელ გრძნობებს გააჩენს და მძიმე ნაბიჯი ოდნავ მაინც გაიოლდება.

„დინამოს“ ომი შეუძლია, ჭკვიანური თამაშიც შეუძლია, ოფლის დაღვრაც შეუძლია და ბურთის გაგორებაც. ნამდვილი თამაში მეტი არც არაფერია.

ნამდვილი თამაში გვინდა!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# უეფას თასი 2004-2005. D ჯგუფი. I ტური

თბილისი. 21 ოქტომბერი. 20 საათი. ლოკომოტივი

## დინამო — სოშო

მსაჯები: შტეფან მესნერი; ტორსტენ ობვურცერი, ჰერბერტ კრენი; თომას განგლი (ყველა ავსტრია)



გულნატკენი და ფეხნატკენი: ჯაბა კანკავა და დავით კვირკველია

# გეგუჩაძის ხუმრობა: სოშო სახლის გუნდად მინდა

## მონდომება, მონდომება და კიდევ მონდომება!

გუშინ „დინამოს“ დიღმის ბაზაზე „სოშოსთან“ მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ და შემდეგ „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელსაც გამოველაპარაკეთ.

წლევანდელ ევროსარბიელზე „დინამომ“ სათქმელი უკვე თქვა და გუშინ დინამოელებს სათქმელი ბევრიც არაფერი ჰქონდათ — დღეს „დინამომ“ „სოშოსთან“ უნდა თქვას ის, რისი ძალაც და უნარიც გააჩნია უეფას თასის ჯგუფური ეტაპისთვის — ახლა დინამოელებს გაცილებით ძნელი თამაშები ელით, თანაც ჯგუფური ეტაპი ერთ წრედ ტარდება და პირველი და საპასუხო მატჩებიც აღარაა — მეტოქეს ერთ თამაშში უნდა აჯობო.

„დინამოს“ ტრავმირებული ჰყავდა ლევან სილაგაძე, შოთა გრიგალაშვილი და დავით კვირკველია, ახლა მათ ბორის გონჩაროვიც დაემატა. „დინამოს“ დანაკლისს ემატება ჯაბა კანკავას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია, ხოლო ახალგამოჯანმრთელებული ირაკლი ზოიძის დღეს სასტარტოში ხილვა ძალიან საეჭვოა.

ერთი სიტყვით, დღეს ვაკეში კარგა ძიგძიგი უნდა იყოს, „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა კი გუშინ ეს გვითხეს...



**გია გეგუჩაძე**: „სოშო“ ისეთი გუნდია, რომ შემადგენლობას ხშირად იცვლის. ძალიან ძნელი თამაში გველის.

**— „ლოკომოტივის“ სტადიონზე რომ თამაშობთ, ეს თქვენი გუნდის ხელისშემშლელი ფაქტორია?**

— ვფიქრობ, ყველა პირობაა იმისთვის შექმნილი, რომ მატჩი ნორმალურად ჩატარდეს. „ლოკომოტივზე“ უკვე რამდენჯერმე ვივარჯიშეთ და ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩიც იქ ვითამაშეთ. მოკლედ, „ლოკომოტივზე“ თამაში ჩვენთვის ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის, მაგრამ ის კია, რომ „ეროვნულზე“ თამაში გვერჩივნა.

**— „სოშოზე“ რას გვეტყვით და მის რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

— „სოშოდან“ რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა არ მსურს, თუმც ამ გუნდში რამდენიმე გამოსარჩევი ფეხბურთელი მაინც არის — ორუმა, იზაბეი და მეთიუ — ისინი ნახევარმცველები არიან. საერთოდ, „სოშო“ ძალიან კარგად დაბალანსებული გუნდია, თავს მთელი გუნდით იცავს და შეტევაში ძალიან სწრაფად გადადის. თანაც სოშოელები საკმაოდ ტექნიკურები არიან.

**— „სოშო“ საფრანგეთის ჩემპიონატში ახლა არცთუ წარმატებულად თამაშობს, განსაკუთრებით გასვლით მატჩებში მოიკოჭლებს და, ასე ვთქვათ, სახლის გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს...**

— მეც ის მინდა, რომ „სოშო“ ჩვენთანაც სახლის გუნდი იყოს — ეს ხუმრობით, ისე კი, საფრანგეთის ჩემპიონატი ერთია, უეფას თასი მეორე — „სოშო“ ჩვენს წინააღმდეგ გაათმაგებულ ენერგიას გამოავლენს და ყველანი ნახავთ, რომ „სოშო“ მართლაც კარგი გუნდია.

**— ჯგუფურ ეტაპზე რა ამოცანა აქვს დასახული „დინამოს“?**

— ჩვენი კონკრეტული ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა.

**გიორგი ნემსაძე**: მზად ვართ, რათა თავი დავდოთ და კიდევ ერთ წარმატებას მივაღწიოთ. რაც უფრო შორს მივდივართ უეფას თასზე, უფრო დიდი ბარიერის გადალახვა გვიწევს. სადამდე გვეყოფა ძალა, ეს მინდორზე გამოჩნდება.

**— „დინამომ“ საკმაოდ კარგ შედეგს უკვე მიაღწია უეფას თასზე და ემოციური მუხტი გუნდში კვლავაც დიდია?**

— თვითკმაყოფილებას არ განვიცდით და ამავე დროს ფსიქოლოგიური ტვირთიც არ გვაწევს.

**— „დინამო“ ახალგაზრდული გუნდია და საუეფასთასო მასშტაბების შენარჩუნება საქართველოს ჩემპიონატში უწევს...**

— ეგრეა და ისიცაა, რომ გრძელი სკამი არ გვაქვს და სტაბილურობის დაჭერა ჩვენთვის ძნელია. რაც ვართ, ამით უნდა ვიბრძოლოთ.

**— „სლავიასთან“ და „ვისლასთან“ „დინამომ“ პირველ რიგში მონდომების ხარჯზე გაიმარჯვა — ეს საყოველთაო აზრია, მაგრამ ახლა მომდევნო ეტაპია და მხოლოდ მონდომება გადამწყვეტი ფაქტორი ალბათ აღარ იქნება...**

— ამჯერადაც ბრძოლისუნარიანობის, მონდომების ხარჯზე უნდა მივაღწიოთ წარმატებას, მონდომების ხარჯზე შესაძლებელია, რომ კლასით ოდნავ მაღალ გუნდს აჯობო.

**— როგორც „დინამოს“ კაპიტანი, გულშემატკივრებს რას ეტყოდი?**

— თვითკმაყოფილნი არ ვართ და ისევე ვიბრძოლებთ, როგორც წინა მატჩებში.

**კახა ალადაშვილი**: კარგ განწყობაზე ვართ. ერთი სული გვაქვს, თამაში როდის დაიწყება.

**— შენი, მარჯვენა ფლანგიდან კარგ რაღაცებს კვლავაც უნდა ველოდოთ?**

— რა თქმა უნდა, კი და არა მარტო მარჯვენა ფლანგიდან. შეტევაშიც და დაცვაშიც „სოშოს“ არაფერს არ დავაკლებთ.

**— „ვისლას“ და „სოშოს“ როგორ შეადარებდი?**

— ვფიქრობ, ერთი დონის გუნდები არიან, თუმც „სოშო“ უფრო ხისტი უნდა იყოს.

**— და რას დაუპირისპირებთ „სოშოს“?**

— პირველ რიგში შემტევ ფეხბურთს — რასაც „დინამო“ თამაშობს ყველა მატჩში. ხალხს კარგ თამაშს ვპირდებით.

„დინამოს“ და ეროვნული ნაკრების მარცხენაფლანგელი **დავით კვირკველია** ტრავმირებულია და ექიმებს მისთვის ჯერ მსუბუქად ვარჯიშის ნებაც არ დაურთავთ. თუმც კვირკველია გუშინაც გუნდთან ერთად იყო. დათოს პირველ რიგში ჯანმრთელობაზე დავეკითხეთ.

— ექიმმა სამკვირიანი დასვენება გამომიწერა, რაც თვის ბოლოს უნდა დამიმთავრდეს — ფეხის კუნთი რენტგენზე 28 ოქტომბერს უნდა გამიშუქონ და მერეღა გავიგებ, რა ვითარებაა. ასე რომ, „ნიუკასლთან“ 4 ნოემბერს ვითამაშებ თუ არა, ჯერ არ ვიცი.

**— როგორ ფიქრობ, „დინამოს“ წარმატებები უეფას თასზე პირველ რიგში რამ განაპირობა?**

— მონდომებამ, ერთიანობამ და იღბალმა, ყველაზე უფრო მაინც მონდომებამ. თანაც უეფას თასზე გამოსვლა ბატესთან სტუმრად მოგებით დავიწყეთ და საკუთარ ძალებში დავრწმუნდით. მანამდე, მოსამზადებელ ეტაპზეც რამდენიმე კარგი მატჩი ვითამაშეთ საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან, დავრწმუნდით, რომ ყველასთან შეგვიძლია თამაში.

**— ახლა რისი ძალა შესწევს „დინამოს“?**

— ახლა სულ სხვა ვითარებაა, საქმისადმი მიდგომაც სხვანაირია და ბიჭებსაც ეტყობათ, რომ ამისთვის მზად არიან.

**— 17 ნოემბერს ნაკრები დანიას მასპინძლობს — იმ დროისთვის ალბათ სრულ ჯანზე იქნები.**

— იქამდე საკმაო დროა და ალბათ მოვასწრებ კონდიციების ბოლომდე აღდგენას. თანაც ისეთი აღნაგობა არ მაქვს, რომ ზედმეტმა წონამ პრობლემები შემიქმნას.

**— „დინამო“ ამ ეტაპზე შენს გაშვებას არ აპირებს, მაგრამ შენ რა გეგმები გაქვს?**

— თუ სერიოზული გუნდი გამოჩნდა, წავალ, თუ არა და, კონტრაქტის დამთავრებამდე „დინამოში“ ვიქნები — კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს.

**— ბოლოს, „დინამო“—„სოშოს“ პროგნოზი...**

— შანსები 50/50, მაგრამ ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ „დინამო“ ჯგუფიდან გავა — ამის საფუძველი არსებობს და ამაში ყველა დარწმუნდება.

**დავით თავართქილაძე**

# di_na_mo_fan@hotmail.com

სექტემბრის მიწურულს, „დინამოსა“ და „ვისლას“ საპასუხო მატჩის წინ, ჩვენს ფოსტაში გამამხნევებელი წერილებიც მოვიდა და პესიმისტურიც. რაკი ჩვენს რუბრიკაში წერილები ცენზურას არ გადის (დიდი დიდი, წერტილ-მძიმე ჩავასწოროთ), ჩვენ ორივე შინაარსის წერილებს ვბეჭდავდით. გამონაკლისი მხოლოდ ერთხელ გვქონდა — უშუალოდ თამაშის დღეს, რაკი ჩავთვალეთ, რომ ბრძოლაში მიმავალ გუნდს გამხნევება სჭირდებოდა და არა შენიშვნების მიცემა.

დღესაც მატჩის დღეა და ამდენად მხოლოდ გამამხნევებელი წერილების დაბეჭდვა გადავწყვიტეთ. ფოსტაში რომ შევიხედე და წერილები წავიკითხე, აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანი გამამხნევებელი იყო, ისეთი, რომლებითაც გუნდი მოედანზე უნდა გააცილო.

A.METREVELI: გამარჯვება გარდაუვალია, მეგობრებო!

ILO_2: სოშო არ არის ის გუნდი, რომლის დამარცხებაც არ შეიძლებოდეს. მწვრთნელი გილაკომბი ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, არც ფეხბურთელები ჰყავს ძალიან მაგარი. ამ ტურში სამი გოლის გამტანი ილანსს კი, იმედი მაქვს, შაში და სალუქვაძე აუცილებლად გაანეიტრალებენ. ისე კი, სტადიონზე წასვლა მინდა და ვერ გავიგე, ბილეთები დინამოზე იყიდება თუ ლოკოზე. იქნებ შენ მაინც მითხრა, ჰა? დინამომ შემადგენლობის შენარჩუნება თუ შეძლო, შეიძლება ლიგაზეც ფიქრი, მანამდე კი სოშოა.

KLDIASHVILI_A: დინამომ უკვე დიდი სიხარული მოგვანიჭა, მიხარია, რომ ასეთი ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს. ხვალ უძნელესი მატჩი გველოდება, მაგრამ მე მჯერა ჩვენი ბიჭების. ჩვენ ბოლომდე ერთგულად გიგულშემატკივრებთ. მიდით, ბიჭებო, სოშო გადაყლაპეთ. თქვენ ეს შეგიძლიათ. დინამომ ბევრ ქართველს იმედი გაუღვიძა. დინამო, დინამო, დინამო!

# ლაკომბი გაკვირვებულია, ჟირესი გაორებული





გი ლაკომბმა და ბერნარ ჟენგინიმ თბილისში ჩვენი ფრანგი და მათი მეგობარი ალენ ჟირესი დაიმგზავრეს

## ფრანგებმა იციან, დინამო მაგარია

ფრანგული „სოშო“ თბილისშია, „დინამოს“ დღევანდელი მეტოქე. სტუმრები გუშინ, სალამოსპირს ჩარტერული რეისით ჩამოფრინდნენ, აეროპორტიდან, სასტუმრო„ მარიოტში“ შეიარეს, ბარგი დატოვეს და რვის ნახევარზე სავარჯიშოდ „ლოკომოტივის“ სტადიონს მოადგნენ.

„სოშოს“ მწვრთნელმა გი ლაკომბმა 18 ფეხბურთელი წამოიყვანა, მათგან რვა შავია, ტანხმელები და ბარე ორმეტრიანები.

გუნდს რვა ჟურნალისტიც ახლავს, „ფრანს ფუტბოლის“, „ეკიპის“, „კანალ პლუსის“, „რეპუბლიკას“ წარმომადგენლები „სოშოსგან“ განსხვავებით თბილისში ერთობ ყინჩად ჩამოვიდნენ და ყველა „სოშოს“ მოგებას წინასწარმეტყველებს. „რეპუბლიკას“ ჟურნალისტი უილიამ სოტე კი უფრო შორსაც წავიდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე „სოშოს“ გასვლას საწყისი ორი ტურის შემდეგ ელის. „ხვალ აუცილებლად მოვიგებთ, შემდეგ „ნიუკასლს“ დავამარცხებთ და შემდეგ ეტაპზე გასვლის პრობლემაც მალევე მოგვარდება“ — ამბობს სოტე.

ჟურნალისტებზე გაცილებით თავდაჭერილია თავად მწვრთნელი გი ლაკომბი. მან ჯერ გუნდი ავარჯიშა, რასაც დაახლოებით ერთი საათი მოანდომა, შემდეგ „ლოკომოტივის“ საკონფერენციო დარბაზში გვესაუბრა...

— სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ. არ მეგონა, თბილისში ასეთი სტადიონი თუ იყო. „ლოკომოტივი“ ჩინებულია, ბრწყინვალეა, თანაც ეგზოტიკურ ადგილზე მდებარეობს. ვიცი, რომ „დინამოს“ თავისი სტადიონი აქვს, „ლოკომოტივზე“ გაცილებით დიდი. გვერჩივნა, მატჩი იქ ჩატარებულიყო, მაგრამ რა გაეწყობა. „ლოკომოტივზე“ ტრიბუნები ზედ მოედანთან იწყება და ეს ჩვენს ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედებს. წარმომიდგენია, ხვალ ეს ტრიბუნები რომ შეივსება, „დინამოს“ როგორი მხარდაჭერა ექნება.

...„სოშო“ მოედანზე გააკეთებს იმას, რაც იცის. არაფრის გამოგონებას არ ვაპირებთ, ვითამაშებთ ჩვენს ფეხბურთს. ვნახოთ, რა გამოგვივა. მართალია, ბოლო სამ-ოთხი მატჩი „სოშომ“ კონტრშეტევებზე ააწყო, მაგრამ ხვალ ასე აღარ იქნება. სხვა ტაქტიკა მაქვს მოფიქრებული, რასაც მატჩისას ნახავთ.

...უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გუნდი შემთხვევით ვერ მოხვდება. გუნდი „სლავიას“ და „ვისლას“ შემთხვევით ვერ დაამარცხებს. კარგად ვიცი, ხვალ გაგვიჭირდება, „დინამო“ ძალიან სერიოზული გუნდია, თუმც, რა თქმა უნდა, თბილისში ჩვენ მოსაგებად ჩამოვედით.

...ჩვენი ჯგუფის ფავორიტები „ნიუკასლი“ და „სპორტინგი“ არიან, მესამე ადგილისთვის კი, ვფიქრობ, „სოშოს“, „დინამოსა“ და „პანიონიოსს“ თანაბარი შანსები აქვთ.

...თბილისში ვერ ჩამოვიყვანეთ ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი და, ცოტა არ იყოს, შესუსტებული გუნდით მოგვიწევს „დინამოსთან“ თამაში. ტრაპასო, მონსორო, სანტუში, პოტილონი და ზაირი ტრავმირებულები არიან.

სხვათა შორის, „სოშოს“ თბილისში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესიც ჩამოჰყვა, ის გუნდის ვარჯიშსაც დაესწრო და მთელი საათის განმავლობაში თავის ძველ მეგობართან, „სოშოს“ ტექნიკურ დირექტორთან ბერნარ ჟენგინისთან მუსაიფობდა.

— ჟირესი ახლა გაორებულია, მას გაორებული გრძნობები აქვს. ფრანგია და საქართველოს ნაკრებს წვრთნის. ამიტომაც, ვის უქომაგებს, არ ვიცი, ისე კი, თვითმფრინავში „დინამოზე“ რაღაც-რაღაცეები კი მითხრა, თუმც მნიშვნელოვანი არაფერი. მასთან საუბრის მერე ერთხელაც დავრწმუნდი, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს — თქვა გი ლაკომბმა.

მოკლედ, „სოშო“ ფრთხილობს, ფრანგებმა, ეტყობა, კარგად იციან, ვისთან აქვთ საქმე და სერიოზულადაც ემზადებიან. კარგია, რომ „სოშომ“ თბილისში ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი ვერ ჩამოიყვანა. პოტილონის გარდა, დანარჩენი ოთხი, ფრანგი კოლეგების თქმით, „სოშოს“ ლიდერებად ითვლებიან.

და ერთიც: „სოშო“ 4-4-2 ტაქტიკური სქემით აპირებს თამაშს. დაცვის ხაზი კი ერთიანად შავი იქნება. ფრანგებს ოთხივე მცველი ზანგი ჰყავთ. დანარჩენს მატჩი გამოაჩენს. „სოშოს“ ვარჯიშის შემხედვარეთ კი შთაბეჭდილება ასეთი დაგვრჩა: „დინამოსთვის“ ფრანგების დამარცხება მაინცდამაინც წარმოუდგენელი არ უნდა იყოს.

**კობა ინასარიძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



„სოშოს“ გუშინდელ ვარჯიშს გია გეგუჩაძემაც შეავლო თვალი




ბილეთი გაზეთი ხომ არ არის, შეცდომა გაიპაროს. დააკვირდით თარიღს...

### სოშოს სავარაუდო შემადგენლობა

რიშერი

მეთიუ პეისლი დიავარა დაფი

იზაბეი ორუმა ლონფატი პიტო

ილანი მენეზი



# დავით ყიფიანის თასი

## მერვედფინალი. პირველი მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლოკომოტივმა სპარტაკი შუაზე გაჭრა

სპარტაკელი ნაფეტვარიძის ამაო ნახტომი — მიხეილ ბობოხიძემ „ლოკომოტივისთვის" სათასოდაც გაისროლა

თბილისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპიკი. 400 მაყურებელი

## სპარტაკი 1:2 ლოკომოტივი

0:1 ჩხაიძე (9), 0:2 ბობოხიძე (60), 1:2 ტატანაშვილი (88)

| | |
|---|---|
| **სპარტაკი:** ნაფეტვარიძე, დონდოლაძე, თ. მჭედლიშვილი, ქვანია, იმნაიშვილი, ხუბუა, ჯანგიძე (ბებუა 67), მჭედლიძე, ლ. ვაშაკიძე (ფიფია 48), კვერენჩხილაძე (კოტრიკაძე 55), ტატანაშვილი<br>*სათადარიგონი:* განკაძე; პაპუაშვილი, მაღლაფერიძე, კ. შალამბერიძე,<br>**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია | **ლოკომოტივი:** ბათიაშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, ბურდული, გოგობერიშვილი, ლაცაბიძე, ქებაძე (სანიკაძე 71), ლ. ჩხაიძე, სირბილაძე (მედოევი 82), ბობოხიძე (გაგუა 75)<br>*სათადარიგონი:* გვარამაძე; გ. ახალაია, კირვალიძე, სოსელია<br>**მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე |

**გაფრთხილება:** მახვილაძე (68), ბებუა (77), მედოევი (86)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი);

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე

**ლუკა თალაკვაძე**

„ლოკომოტივმა" 2:1 მოუგო თანაქალაქელ „სპარტაკს" და ცალი ფეხი მეოთხედფინალში შეჰყო. რკინიგზელებმა ყველანაირი შანსი მოუსპეს ბესიკ შეროზიას შეგირდებს, თუმც ისეც არ გეგონოთ, „სპარტაკი" საკუთარ კარს მიეჯაჭვაო.

პირველლიგელები ბევრს ცდილობდნენ გამოცდილი მეტოქისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ თავზესაყრელი უხეში შეცდომები მოსდიოდათ და „ლოკომოტივმაც" მასპინძლები დასაჯა.

თავიდანვე გეტყვით, რომ კლასში განსხვავება ძალიან თვალშისაცემი იყო — რკინიგზელები დინჯად აგორებდნენ ბურთს და „სპარტაკის" კართან მიახლოვებაც ამად არ უჭირდათ.

ზაურ სვანაძის გუნდმა მოედნის ცენტრი თავიდანვე დაიპყრო, მალევე გამოჩნდა, რომ სპარტაკელთა განაპირა ნახევარმცველებიც მოისუსტებდნენ და ბურდულ-ქებაძე-ჩხაიძე-გოგობერიშვილის ოთხეულმაც გაინავარდა. ჰოდა, თავდამსხმელებს — ირაკლი სირბილაძეს და მიხეილ ბობოხიძესაც მეტი რა უნდოდათ...

ანგარიში მე-9 წუთზე გაიხსნა. ლაშა ჩხაიძემ ბურთი მიიღო, გაისწორა და შორეულ ცხრიანში ულამაზესი დარტყმით ჩასვა — 0:1.

„სპარტაკის" ინერტული ნახევარმცველები ბურთის ამოტანას ვერ ახერხებდნენ და ეულ თავდამსხმელ დიმიტრი ტატანაშვილსაც დიდი ჯაფა ადგებოდა ბურთის მისალებად.

პირველ ტაიმში რკინიგზელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ აურაცხელი მომენტები გაანიავეს — მარტო ბობოხიძემ ფაქტობრივად ცარიელ კარში სამჯერ ვერ შეაგდო, ერთხელაც ქებაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ აქედანაც არ გამოვიდა რამე.

45-ე წუთზე კი მასპინძლებმაც გამოიღეს ხელი, თუმც გოლი არ ჩაითვალა — გიგა ქვანიას თავური ზურაბ ბათიაშვილმა თავგანწირული ნახტომით მოიგერია, დამატებაზე ისევ ქვანიამ მიუსწრო ყველას, მაგრამ მეტოქეს ხელი უბიძგა და... მოკლედ, გოლი გაუქმდა.

მეორე ტაიმი პირველისგან განსხვავდებოდა. შეროზიამ გუნდის გამოფხიზლება შეცვლებით სცადა, თუმც არც აქედან გამოვიდა ხეირი. რკინიგზელები უფრო და უფრო მეტ დროს ატარებდნენ ბურთთან და ხიფათსაც ხიფათზე ჰქმნიდნენ. მე-60 წუთზე კი აქტიურმა ბობოხიძემ მაინც შეძლო თავისი გოლის გატანა — 0:2.

მატჩიც თითქოს ასე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ „სპარტაკმა" ერთი გოლის გატანა მოახერხა. სტუმართა მოდუნებულ მცველებს ტატანაშვილი გაეპარათ — 1:2 და „ლოკომოტივს" ფორმალური 90 წუთიღა აშორებს მეოთხედფინალს. ძნელი წარმოსადგენია, რკინიგზელებმა საპასუხო მატჩში გადაიბრუნონ ფეხი.

თბილისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი. 800 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 2:0 დილა

1:0 ხოჯავა (30), 2:0 ჯიქია (71)

| | |
|---|---|
| **თბილისი:** შეყრილაძე, ა. კალაძე, მიქიაშვილი, ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, გ. ნუგ. ჭელიძე (ჯიქია 58), გეწაძე, ელიავა (აფციაური 62), ხოჯავა, გ. ვ. მიქაძე, იაშვილი (მიკუჩაძე 73)<br>*სათადარიგონი:* ალავიძე, ორბელაძე, მესხი, ფიფია<br>**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი | **დილა:** სომხიშვილი, მგელაძე, ჩაჩუა, ბალაშვილი, ლომიძე, კ. ხანიშვილი (ხატიაშვილი 69), ჯობაძე, რაზმაძე (ქარქუზაშვილი 64), დ. ხანიშვილი, შატაკიშვილი, სულთანიშვილი (მძინარიშვილი 64)<br>*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ფოფხაძე, მასურაშვილი, თომაშვილი<br>**მწვრთნელი:** სოსო ვაშაკიძე |

**გაფრთხილება:** ხატიაშვილი (86)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. კეტაშვილი

# დილა სტანდარდში ვერ ჩაჯდა



გოჩა ხოჯავამ (შუაში) გორელებზე „თბილისის" ძველი ჯავრი იყარა

**ილია ნანობაშვილი**

ავლაბრის სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა გადასარევი ვერა, მაგრამ საგოლე მომენტებით სავსე მატჩი კი იხილა. არც სელტიკ-რეინჯერსული ტემპი იყო და არც წვივების ლაწალუწი, პირიქით, თამაშზე იქნებ ზედმეტად კორექტულიც გვეთქვა. გასაკვირი გორელთა მიერ შექმნილი აურაცხელი ხელოვნური თამაშგარე იყო, რომელიც სათვალავს აგირევდა, თბილისელები სულ ცოტა, 12-ჯერ მაინც მოხვდნენ სტუმართა ხაფანგში. მოკლედ, რაღა „დილა" და რაღა 22 წლის წინანდელი „სტანდარდი"... თუმც, სოსო ვაშაკიძის ამ ტაქტიკამ ბოლომდე ვერ გაამართლა — ფეხმარდი თბილისელი ფორვარდები ბევრჯერ „გაეპარნენ" სტუმრებს და აკი მეორე გოლიც ასე გაუშვეს.

თავიდან მოვყვეთ: სათასო მერვედფინალის ერთ-ერთი გამოსარჩევი თამაში „თბილისის" სრული უპირატესობით წარიმართა და გორელთა მეკარე გიორგი სომხიშვილს საქმე თავზესაყრელად ჰქონდა. ტაიმის შუა ათწუთიან მონაკვეთში მან ჯერ ზალ ელიავას დარტყმა (უფრო ჩაწოდებას კი ჰგავდა), შემდეგ ანზორ კალაძის ეფექტური თავური და გივი კვარაცხელიას 25-ოდე მეტრიდან გასროლილი მოიგერია. მომწიფებული გოლი კი ჭელიძე-მიქაძე-ხოჯავას მარჯვენაფლანგურ კომბინაციას მოჰყვა; „თბილისის" გამთამაშებელმა საჯარიმოში შესვლისთანავე მოიქნია ფეხი და სომხიშვილს ახლო კუთხეში დაბალი დაურტყა — 1:0.

გორელები ოდნავ კი გააქტიურდნენ, მაგრამ კობა ხანიშვილისა და ჯობაძის უხიფათო დარტყმების გარდა ვერაფერს გამორჩნენ. გიორგი დევდარიანის ბიჭებს კი შესვენებამდე ოთხი მომენტი გაუცუდდათ: სტუმართა მეკარესთან თითქმის პირისპირ შეყრილმა რევაზ გეწაძემ და გივი კვარაცხელიამ ძელების ხმა გაგვაგონეს, მანამდე შეუმჩნეველი ხანდრო იაშვილიც აბობოქრდა — ჯერ შორიდან გაისროლა მოულოდნელად და სომხიშვილის კიდევ ერთი კოხტა ნახტომი გვანახა, მერე კი მეკარესთან მარტო დარჩა, მაგრამ თამაშგარე ეგონა, შეყოვნდა და ასპროცენტიანი შანსი გაანიავა.

მეორე ტაიმის წყნარი დებიუტი „დილას" მახვილგონივრულმა ჯარიმის გათამაშებამ გამოაცოცხლა. გორელებმა ორი შეხებით ჯვარედინი პასები გააკეთეს და ლუკა რაზმაძე მასპინძელთა მეკარესთან მარტო დარჩა, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა. მორჩა, ამას იქით სტუმრები დაცვაში „ჩაბეტონდნენ" და, იცოცხლე, ზემოხსენებულ თამაშგარეებს მიჰყვნენ, მაგრამ კოკას წყალი ყოველთვის ვერ მოაქვს... გიორგი მიქაძემ ელეგანტური პასით გორელთა დაცვას მოსწყვიტა შეცვლაზე შესული შოთა ჯიქია და „თბილისის" ჭაბუკმა ნახევარმცველმაც აულელვებლად გაიტანა.

თავში არ გვითქვამს და, დევდარიანის გუნდს საამმატჩოდ აკლდნენ აკაკი დევაძე, ტრავმირებული შუახაზელები დავით ოდიკაძე და გოგიტა გოგუა, ხოლო თორნიკე აფციაური და აკაკი მიკუჩაძე, ჯიქიას მსგავსად, მეორე ტაიმში ჩაებნენ საქმეში.

დანაკლისის მიუხედავად, თბილისელებს პრობლემები არ შეჰქმნიათ, მოედნის ცენტრი მთლიანად მათი იყო და გორელთაგან აშკარად საუკეთესო სომხიშვილსაც ჯარასავით ტრიალი უწევდა.

მატჩის ბოლო წუთებზე მასპინძლები ვალდებულებიც იყვნენ, ანგარიში გაესამებინათ. აფციაურმა მარცხენა ფლანგზე ჩვეულად ჩაუცეკვა გორელთა მცველებს და არამუშა მარჯვენა ფეხით გაისროლა, თუმც... ისევ სომხიშვილი. ავთანდილ ორდინიძის საფინალო სასტვენის წინ კი ჯიქიამ ისეთი უპასა მიკუჩაძეს, რომ ვერგატანა უფრო ძნელი იყო, მაგრამ „თბილისი" 2:0-ს დასჯერდა.

გორელთა გოლკიპერი იმდენი ვაქეთ, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც თავისუფლად დავასახელებდით, მაგრამ ამით თბილისელთა გარჯას დავაკნინებდით. დევდარიანის გუნდიდან პირველ რიგში გოჩა ხოჯავაა გამოსარჩევი, რომელიც ინდივიდუალიზმთან ერთად არც თანაგუნდელებს ამადლიდა პასებს და საერთოდაც შეტევების წარმართვაში წუნს თითქმის ვერ უპოვიდით...

და კიდევ, გეხსომებათ, შარშანდელ სათასო მეოთხედფინალში „დილამ" და „თბილისმა" ფრეები გაცვალეს, სტუმრად გატანილი გოლით კი გორელები გავიდნენ. ახლა კი დევდარიანის ბიჭებს რევანში თითქმის ალებული აქვთ...

# ამერმა პირველი ლიგა დაიცვა

ბოლნისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 3500)

## სიონი 2:3 ამერი

1:0 ვერემჩუკი (15), 1:1 კაიდარაშვილი (30), 1:2 სევასტოპულო (71), 1:3 დეკანოსიძე (79), 2:3 გოგოლაძე (86)

**სიონი:** ასლანაძე, კობაური, ლამბაშიძე, ცქვიტაია, შელია (ალავიძე 63), დოლიძე, ვერემჩუკი (ლაბაძე 69), ფეიქრიშვილი, რუსია (მიქავა 46), გოგოლაძე
*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; კილასონია, ოქროპირიძე, არჩვაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**ამერი:** ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, მჭედლიშვილი (ჩხეტიანი 67), კაიდარაშვილი, დეკანოსიძე (ბერიანიძე 83), დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 83), სევასტოპულო, შონია, ხვადაგიანი, სილაგავა
*სათადარიგონი:* ნადირაშვილი; გარუჩავა, გვაძაბია, ნადირაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** დეკანოსიძე (23), კობაური (28), სევასტოპულო (28), ცქვიტაია (38), დოლიძე (44), ნაჭყებია (73)

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი); დ. კურტანიძე (სურამი);

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ტალიაშვილი



დიმიტრი ვერემჩუკმა და დავით სევასტოპულომ თითო გოლი გაიტანეს, დავით ასლანაძემ სამი გაუშვა

**ირაკლი ნინიძე** ბოლნისიდან

მატჩის მსვლელობისას ბოლნისელი გულშემატკივარი უჩვეულოდ კორექტული იყო, ხოლო როცა „სიონმა" მესამე გოლი გაუშვა, მათი მოზრდილი ნაწილი უხმოდ გაეშურა გასასვლელისკენ.

გუშინ „თამაზ სტეფანიაზე" უფრო „ამერი" უტევდა და ქმნიდა მომენტებს. მაგრამ პირველლიგელთა საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, პირველი სახიფათო მომენტი მათ კართან შეიქმნა და გოლითაც დასრულდა. ამერელები დიდი ძალით, მაგრამ უხიფათოდ უტევდნენ ბოლნისელთა კარს და ერთ მომენტში ბურთის დაკარგვა მამუკა რუსიას სწრაფ კონტრიერიშად და დიმიტრი ვერემჩუკის გოლად დაუჯდათ. რუსიაც და ვერემჩუკიც ყოფილი ამერელები არიან.

ამ გოლს თითქოს მოედანზე უმაღლესლიგელთა გაბატონება უნდა მოჰყოლოდა, „ამერი" კი მარცხს შეგუებოდა, მაგრამ მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა და პირველი ტაიმის დარჩენილ ნახევარ საათში „სიონს" გამოსარჩევი არაფერი გაუკეთებია, მაშინ როცა „ამერი" რამდენჯერმე იყო ახლოს მიზანთან. მარტო სულიკო დავითაშვილი სამი საგოლე პასის ავტორი შეიძლებოდა გამხდარიყო, მაგრამ ორჯერ გიორგი სილაგავამ, ერთხელ კი დავით სევასტოპულომ უალრესად ხელსაყრელი პოზიციებიდან ვერ გაიტანეს. ამ მომენტების ფონზე. ცოტა კურიოზულად გამოჩნდა ალექსანდრე კაიდარაშვილის გოლი — ბოლნისელმა მცველმა მოედნის ცენტრიდან ბურთი მეკარე დავით ასლანაძეს დაუბრუნა, მეკარის დარტყმული კი კაიდარაშვილმა მოიხელთა, გაიჭრა, გზად შემხვედრნი ჩამოიტოვა და ანგარიში გაათანაბრა.

ასლანაძე ვახსენეთ და ვთქვათ, რომ ისიც ყოფილი ამერელია.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ათიოდ წუთში „თამაზ სტეფანიას" მიჯრით ორჯერ შეეკრა სუნთქვა — დავითაშვილის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, ასხლეტილს გიორგი დეკანოსიძემ დაამატა და მეორე ძელს გაარტყა. ბოლნისელები გადარჩნენ, აქედან ექვს წუთში კი გოლი რევაზ ნაჭყებიას კარში შეიძლებოდა გასულიყო — ირაკლი მიქავას დარტყმის მერე ბურთმა უკვე საპირისპირო კარის ძელი მოინახულა.

ამ ეპიზოდებმა თამაში კიდევ უფრო გაამწვავა და მალე სტუმრებმა მეორეც გაიტანეს. სილაგავამ სევასტოპულო ასლანაძესთან პირისპირ გაიყვანა, ამერელთა საუკეთესო ბომბარდირმა კი მეკარე ჩამოიტოვა და მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა.

„სიონი" უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა და სანამ გონს მოეგებოდა, მესამედაც მოუხდა თამაშის ცენტრიდან განახლება — საჯარიმოს გარეთ სწორად გამოსულმა ასლანაძემ ბურთი არასწორად მოიგერია, პირდაპირ დეკანოსიძეს მიუგორა, რომელსაც ისღა ევალებოდა, დაუცველ კარში, თუმცა საკმაოდ შორიდან ზუსტად დაერტყა — 1:3.

„სიონისთვის" ეს უკვე კატასტროფას ნიშნავდა და „ამერს" ისევე რომ გაეგრძელებინა თამაში, ბოლნისელები მეორე გოლის გამტანი აღარ იყვნენ. მაგრამ „ამერმა" თავი ქუდში დაიგულა, მოეშვა, რითაც მასპინძლებს სხვაობის შემცირების იმედი გაუჩინა. იმედის გაჩენას კი ბოლო წუთებში „სიონის" სახიფათო იერიშები მოჰყვა, რომელთაგან ერთი კარის აღებით დასრულდა. დავით გოგოლაძის გოლი გვარიანად ლამაზი გამოდგა — განივ პასს შეუჩერებლად დაჰკრა და ბურთი შორეულ კუთხეში ჩააჭედა.

ამგვარად, სათასო დღემ მოულოდნელობის გარეშე არ ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ „სიონი" ორი დღით ადრე მთავარმა მწვრთნელმა ვარლამ კილასონიამ დატოვა, პირველლიგელისგან უმაღლესლიგელის მისსავე მოედანზე დამარცხებას ჩვეულებრივ ამბავს ვერ დავარქმევთ. ახლა დიდი შანსია, მეოთხედფინალისტებს შორის ერთი პირველლიგელიც გამოერიოს.

ქუთაისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო. 500 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 4:0 მერანი

1:0 ნერგაძე (28), 2:0 დარსაძე (34), 3:0 ნერგაძე (82), 4:0 დარსაძე (89)

**ტორპედო:** სტურუა, მემარნიშვილი (ლალაძე 58), ებრალიძე, ს. თოდუა, რევაზიშვილი, ნერგაძე, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, კოშკაძე, დარსაძე, გამეზარდაშვილი
*სათადარიგონი:* გ. გაბელია; ადუაშვილი, დათუნაშვილი, მუმლაძე, ჯანჯღავა
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**მერანი:** სეფიაშვილი, ფარფალია (სულხანიშვილი 46), მეტონიძე, სახოკია, ოსიტაშვილი (მიქაძე 46), ჯონჯუა, ჭეიშვილი, სარალიძე, ჯოჯუა, ზედელაშვილი, შანავა (კობახიძე 46)
*სათადარიგონი:* მჭედლიშვილი; დეკანოსიძე, ჩაჩანიძე, წულაია
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

**გაფრთხილება:** ფარფალია (37)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

# წყვილი დუბლი და დუბლის დუბლი

**გია ამირანაშვილი** ქუთაისიდან

**თასის** მერვედფინალში „ტორპედოს" კენჭისყრამ პირველლიგელი არგუნა. თასს მოულოდნელობები კი სჩვევია, მაგრამ წინა გათამაშების ფინალისტი მაინც უპირობო ფავორიტად ითვლებოდა.

ქუთაისელებმა ჩემპიონატის ტურში გაძევებული მეგოლე მეგრელაძე მოისაკლისეს, მის ნაცვლად გაბელიამ ახალგაზრდა დარსაძე დააყენა, რომელსაც კოშკაძეც ეხმარებოდა.

თამაში კი სტუმართა უპირატესობით დაიწყო. უკვე მე-6 წუთზე რეალური შანსიც ჰქონდათ — ზედელაშვილმა 25 მეტრიდან დაარტყა, ბურთი ხარიხიდან კარის ხაზზე დავარდა, დამატება კი სტურუამ არავის დაანება.

მოგვიანებით ჯონჯუას ხუთი მეტრიდან მართებდა გატანა, მაგრამ აქაც სტურუამ ივარგა.

ამის შემდეგ „ტორპედო" გააქტიურდა, თანაც საგრძნობლად და ექვს წუთში ორჯერ გაიხარა: ჯერ ბოლქვაძის პასით ნერგაძემ გაიტანა ჩინებული თავური, შემდეგ კი ბაბუნაშვილმა დარსაძეს გაუწია ასისტენტობა — 2:0.

ამის შემდეგ ტრიბუნებზე ქალაქის მერი გია გიორგაძე და ახალი გუბერნატორი გია გეწაძე გამოჩნდნენ და მაყურებელმა ეს იმის ნიშნად აღიქვა, რომ ისინი არც მომავალში დატოვებენ „ტორპედოს" უყურადღებოდ.

მეორე ტაიმში სტუმრებმა სამი ახალი მოთამაშე შეუშვეს მინდორზე, თუმცა ხიფათს მხოლოდ მასპინძლები ქმნიდნენ. ყველა მომენტის აღწერას აზრი არ აქვს, მხოლოდ გოლებზე ვთქვათ: ნერგაძემ თოდუას პასით ახლოდან გაიტანა, დარსაძემ კი ინდივიდუალურად ითამაშა ჩინებულად და ისე მიითვალა დუბლი.

შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხი „ტორპედომ", ფაქტობრივად, გადაწყვიტა და ახლა სრულად მობილიზებული მოემზადება კვირას „კოლხეთთან" გასამართი ჩემპიონატის მატჩისთვის.

მცხეთა. 20 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია 6:0 ჭაბუკიანი

ბათუმი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო

## ბათუმი 1:0 პრემა

ფოთი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი

## კოლხეთი 4:0 ცხინვალი

# მალტა: ქართველების იმედის კუნძული

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებმა მოულოდნელად წააბორძიკა და ევროპის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა ხვალისთვის გადადო.

ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭებმა გუშინ ლიტველ თანატოლებთან დაყარეს ფარ-ხმალი, არადა, პირველი ტაიმის მერე 2:1 იგებდნენ.

ლიტველებმა პირველ ტურში ის მალტა დაამარცხეს, რომელსაც ხვალ ჩვენები შეხვდებიან და ალბათ მოუგებენ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, კუნძულელებმა გუშინ მეორე მატჩიც წააგეს მასპინძელ სლოვაკებთან (1:2) და ვარაუდისამებრ ჯგუფის უსუსტეს გუნდად ითვლებიან.

ძნელია, ნაკლებადსაფეხბურთო ლიტვასთან წაგება სხვათა შორის გავატაროთ, მაგრამ... მოდით, ჯერ მალტას დაველოდოთ და დასკვნებიც მერე გავაკეთოთ.

აქვე შეგახსენებთ, რომ მოგების შემთხვევაში ქართველები მაინც გადიან მომდევნო ეტაპზე.

**კახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |



მსაჯი ალექსანდრე შილაკაძე იქით განსაჯეს

# შილაკაძეს, ელიკაშვილს, მეშკოვს ყვითელი ბარათი ამოუღეს

## სუდია, მუცელი ცუდია

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბოლო, მე-11 ტურში ისეთი ამბები მოხდა, რომ სამ მსაჯს ძალიან მკაცრი სასჯელი ელის — ალექსანდრე მეშკოვს, ალექსანდრე შილაკაძეს და მამუკა ელიკაშვილს.

შილაკაძე „კოლხეთ"—„თბილისს" არბიტრობდა, ელიკაშვილი კი ამ მატჩში გვერდითი მსაჯი იყო. თბილისელ გიორგი მიქაძეს გოლი სწორედ მათ არ ჩაუთვალეს. შეხვედრა კი „კოლხეთმა" 1:0 მოიგო.

მეშკოვმა „დინამო" — „ვიტ ჯორჯია" იმსაჯა და დინამოელთა კაპიტანი გიორგი ნემსაძე ბოლო იმედის ჯარიმისთვის არ გაძევა. ვიტელები მეშკოვს იმაზეც ედავებოდნენ, ჩვენს კარში უსამართლო პენალტი დანიშნაო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ გუნთაძემ გვითხრა, რომ შეიქმნება სადისციპლინო კომისია, რომელიც ამ სამეულის საკითხს დაწვრილებით შეისწავლის და დასკვნას სამსაჯო კომიტეტის სადისციპლინო კომიტეტს გადასცემს. — ვერდიქტს ეს უწყება გამოუტანს მეშკოვს, შილაკაძეს და ელიკაშვილს. განაჩენამდე კი ამ სამეულს მსაჯობის უფლება ჩამორთმეული აქვს.

სანდო წყაროდან ისიც შევიტყვეთ, რომ მეშკოვი, შილაკაძე და ელიკაშვილი რამდენიმე თვე, გაისამდე ვერ იმსაჯებენ. მსაჯთა სადისციპლინო კომიტეტი მერაბ მალალურაძეზეც იმსჯელებს, თუმც მალალურაძეს მძიმე სასჯელი არ ელის — მას ოდენ ცუდ ფიზიკურ ფორმას უწუნებენ.

**დავით თავართქილაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

# ირურეტამ ენფილდზე შეცდომები იპოვა



ორი ხავიერი: ჩევანტონი და სავიოლა

**მონაკო 2:1 ოლიმპიაკოსი**

**1:0 სავიოლა (2), 2:0 ჩევანტონი (10), 2:1 ოკასი (60)**

**მონაკო: რომა, მაიკონი, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ზიკოსი, ბერნარდი (ფარნერუდი 79), კალონი, ჩევანტონი (დ. პერესი 53), ადებაიორი, სავიოლა (პლასილი 75)**

**მწვრთნელი: დიდიე დეშანი**

**ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ვენეტიდისი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, შურერი, კაფესი (კასტილიო 76), სტოლტიდისი, გეორგატოსი (მარიჩი 46), ჯოვანი (გეორგიადისი 58), რივალდო, ოკასი**

**მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი**

**გაფრთხილება: ბერნარდი, ვენეტიდისი, ანატოლაკისი**

**მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)**

**16 000 მაყურებელი**

მატჩის ბედი დასაწყისშივე გატანილმა ორმა გოლმა გადაწყვიტა და „მონაკო“ „ოლიმპიაკოსზე“ ძლევით მეთექვსმეტედფინალს მიუცუცქდა. მასპინძელთა ახალწვეულებმა, ხავიერ სავიოლამ და ხავიერ ჩევანტონიმ ელინთა გოლკიპერ ნიკოპოლიდისს ორი ბურთი თამაშის დაწყებიდან 10 წუთში „მიუძღვნეს“, თუმც მეორე ნახევარში უპირატესობის შესანარჩუნებლად გვარიანი ჯაფა დაადგათ. მე-60 წუთზე იანის ოკასმა ერთი გოლი გაქვითა კიდეც, მაგრამ ბერძნებმა მეტი ველარ მოახერხეს.

დიდიე დეშანმა მეტოქეს სიურპრიზი დაახვედრა — ოთხი თავდამსხმელით ითამაშა. ცენტრში ადებაიორი, მის უკან მოჰამედ კალონი, ფლანგებზე კი სავიოლა და ჩევანტონი ჰყავდა. ყრუ დაცვის ტაქტიკა არც ბერძნებს აურჩევიათ — ბრაზილიელი ჯოვანი შეტევებში ჯიქურ ჩაერთო და „ოლიმპიაკოსის“ მოიერიშეებს ოკასსა და თანამემამულე რივალდოს საქმე გაუადვილა.

მე-3 წუთზე სავიოლამ ლუკას ბერნარდის პასი მიიღო და ბრწყინვალე დრიბლინგით სტუმართა სამი მცველი და მეკარე ნიკოპოლიდისი გააოგნა — 1:0. მცირე ხნის მერე ზიკოსმა მოედნის მარცხენა ფლანგზე ჩევანტონი კარგი გადაცემით აზეირა და ურუგვაელმაც თავი არ შეირცხვინა — 2:0.

ბაევიჩის ბიჭები ოკეანისგაღმელთა ჯირითმა გამოაფხიზლა და ჯოვანიმ და რივალდომ ფლავიო რომას კარის მისადგომებს სახიფათოდ შეუტიეს.

ერთი საპასუხო გოლი რივალდოს აქტიურობას მოჰყვა — ბრაზილიელმა კაფესს გადააწოდა, მან კი გამოზომილი პასით ოკასი მოძებნა და ანგარიში 2:1 გახდა.

ფრანგები ორბურთიანი უპირატესობის აღდგენას შეეცადნენ. სავიოლა კარგად გაისარჯა, თუმც ამჯერად ნიკოპოლიდისის დაჯაბვნა ვერ შეძლო. შემდეგ სტუმრებსაც უნდა გაეტანათ — კაფესის შესანიშნავი ჩაწოდებით ოკასმა ვერ იხეირა.

ბოლო წუთებში, საფინალო სასტვენის მოლოდინში, მასპინძლები დაცვაზელა ზრუნავდნენ და იმ დღეს „ოლიმპიაკოსის“ შეუჩერებელ ოკასს კინაღამ ნანატრი გამარჯვება დაანებეს — მატჩის მიწურულს ფორვარდმა ბურთს თითქოსდა ზუსტი თავური დაჰკრა, მაგრამ ფარნერუდი გარდაუვალ გოლს კარის ხაზზე გაუხვდა.

„მნიშვნელოვანი სამი ქულა ავიღეთ. გუნდი ჩინებულად თამაშობს და ვგონებ, რაიმე სირთულეები არც მომდევნო თამაშებში უნდა გვქონდეს“ — განაცხადა ნამატჩევს დიდიე დეშანმა, ძლეულებმა კი 4 ქულით ჯგუფში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

**ლივერპული 0:0 დეპორტივო**

**ლივერპული: კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია (სინამა-პონგოლე 84), ხაბი ალონსო, ჰამანი, რიისე (კიუელი 66), ბაროში, ჯ. სისე (ფინანი 77)**

**მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი**

**დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, მ. სესარი, კაპდევილა, ვიქტორი, მაურო სილვა (სკალონი 59), დუშერი, ვალერონი (ფრანი 87), პანდიანი (რომერო 82), ლუკე**

**მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა**

**გაფრთხილება: ლუკე, ჰამანი, ჟორჟე ანდრადე, დუშერი, ბაროში, ვიქტორი**

**მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)**

**40 236 მაყურებელი**

„რა უბედურება სჭირს „დეპორს“?! — გუშინდელი „მარკა“ ხავიერ ირურეტას გუნდის მორიგ ულიმლამო მატჩს ამ ფრაზით გამოეხმაურა და რა გასაკვირია, რომ ესპანური სპორტული მედიის შეფასება სავსებით გასაგებია — სამშაბათ საღამოს თუკი ვინმემ „ენფილდ როუდზე“ ხალხი თამაშით ასიამოვნა, რაფა ბენიტესის „ლივერპული“ გახლდათ, ხოლო „დეპორი“ უკეთეს შემთხვევაში სტატისტად შეგვიძლია მოვიხსენიოთ...

რომ არა ხოსე მოლინა, პლუს ბრწყინვალედ მოთამაშე მცველი მანუელ პაბლო და, რა თქმა უნდა, მისი უდიდებულესობა საფეხბურთო ფორტუნა, გალისიელები ჩრდილოეთიდან იმ ერთ ქულასაც ვერ წაიღებდნენ.

„ლივერპულთან“ არც ერთმა დეპორელმა ხეირიანად არ იცოდა, ბურთის მიღების შემდეგ რა გაეკეთებინა. დაცვას, ნახევარდაცვასა და მოიერიშეთა შორის კავშირი სრულებით მოშლილიყო.

0:0-ზე მორჩენილი თამაში და ეგრეთ წოდებული „ცალკარა“, ვერაფერიშვილი მოსათხრობია და იმ უამრავი სახიფათო ეპიზოდის აღწერას, მილან ბაროშმა, ხაბი ალონსომ, ლუის გარსიამ, ჯიბრილ სისემ და ჰამანმა რომ გააზერხეს, აღარ მოვყვებით.

„ჩემი გუნდის თამაშში უამრავი შეცდომა შევნიშნე, თუ რაიმეს მიღწევა გვინდა, სიტუაცია დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ“ — დაიჩივლა ხავიერ ირურეტამ.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| დეპორტივო | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |

IV ტური: 3 ნოემბერი

**ოლიმპიაკოსი — მონაკო**

**დეპორტივო — ლივერპული**

## B ჯგუფი

# რონალდომ ოუენს გოლი მისცა

**ლევერკუზენი 3:1 რომა**

**0:1 ბერბატოვი (26ს.კ.), 1:1 როკე ჟუნიორი (48), 2:1 კრჟინოვეკი (59), 3:1 ფრანცა (90)**

**ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, შნაიდერი, რამელო (ფრანცა 46), პონტე (ბალიტჩი 90), ჯონსი (ფრაიერი 67), კრჟინოვეკი, ბერბატოვი**

**მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი**

**რომა: ძოტი, პანუჩი, ფერარი, სკურტო, კუფრე, მანსინი (სარტორი 67), დე როსი, პეროტა (მიდო 73), ტოტი, კასანო, მონტელა (აკილანი 50)**

**მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი**

**გაფრთხილება: პეროტა, პონტე, შნაიდერი, ძოტი, მანსინი, აკილანი, ფრაიერი**

**გაძევება: პანუჩი (61), დე როსი (87)**

**მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)**

**22 500 მაყურებელი**

„ბაიარენა“ 26-ე წუთზე დადუმდა — ფრანჩესკო ტოტის ეშმაკურად დარტყმულმა ჯარიმამ ლევერკუზენელთა ბულგარელი ლეგიონერის, დიმიტარ ბერბატოვის თავი მონახა, მეკარე ჰანს-იორგ ბუტსაც რაღა უნდა ექნა, თანაგუნდელისგან ასხლეტილ ბურთს სათანადოდ ვერ შეეგება და ასე, ავტოგოლით დაწინაურდა „რომა“.

გაშვებულმა და, როგორც მატჩის თვითმხილველები ამბობენ, სრულიად ალოგიკურმა გოლმა ლევერკუზენელები, ბუნებრივია, გაახელა და პელიცოლის სათადარიგო, კარლო ძოტის საჯარიმოში ძალიან დასცხა.

შეტევას შეტევაზე ავითარებდნენ მასპინძლები — კრჟინოვეკი, ბერბატოვი, შნაიდერი, პონტე ყველანაირად ცდილობდნენ იტალიელთა კარის გასაღების მოძებნას, მაგრამ რაც მათ ვერ გააკეთეს, მოახერხა „ბაიერის“ ბრაზილიელმა მცველმა როკე ჟუნიორმა. მან მეორე ტაიმის დაწყებიდან სამ წუთში შეაგდო გამთანაბრებელი.

არიქა, გავათანაბრეთ, ახლა მოგებაზეც უნდა ვიზრუნოო, იფიქრა ალბათ კლაუს აუგენტალერმა, „ლევერკუზენის“ მწვრთნელმა და „რომასაც“ უკვე ოთხი ფორვარდით მოთამაშე მასპინძელთა შეტევების მოგერიება ძლიერ უჭირდა.

იტალიელთა ცეცხლზე ნავთი მსაჯმა ერიკ პულამაც დაასხა, ჯერ კრისტიან პანუჩი გააგდო, რომელმაც მეტოქეს გამეტებით უთავაზა იდაყვი, მერე კი დანიელე დე როსიც მის გზას გაუყენა, იაცეკ კრჟინოვეკს უკნიდან ეუხეშეო.

ჰოდა, აბა, რა გასაკვირია, „ლევერკუზენმა“ ცხრა ფეხბურთელით მოთამაშე მეტოქე რომ დაამარცხა.

გერმანელებიც ჯგუფის ლიდერები შეიქნენ. კიევის „დინამოს“ და მადრიდის „რეალს“ ბურთების უკეთესი სხვაობით წამოასხდნენ თავს.

**რეალი 1:0 დინამო**

**1:0 ოუენი (35)**

**რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სოლარი 29), გუტი, ზიდანი, რაული, ოუენი (სელადესი 67), რონალდო (მორიენტესი 80)**

**მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი**

**დინამო: შოვკოვსკი, გიოანე (პეევი 87), საბლიჩი, გავრანჩიჩი, როდოლფო, ელ კადური, ო. გუსევი (ჩერნატი 64), იუსუფი, რინკონი (ბელკევიჩი 76), შაცკიხი, კლებერი**

**მწვრთნელი: იოჟეფ საბო**

**მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)**

**60 000 მაყურებელი**

ვინ იყო გუშინწინ ყველაზე ბედნიერი მადრიდში? ალბათ მაიკლ ოუენი.

და რა ქნა ოუენმა ასეთი? რაც „რეალში“ გადავიდა ანუ ზაფხულის მერე, პირველი მადრიდული გოლი გაიტანა და სწორედ მაიკლის გატანილით დაამარცხა „სამეფო კლუბმა“ კიევის „დინამო“.

„დინამოს“ ლატვიელი ფორვარდი, მარის ვერპაკოვსკისი აკლდა, „რეალს“ კი დისკვალიფიცირებული ვალტერ სამუელი და ტრავმირებული დევიდ ბექემი.

თავად მატჩი ძალიან საინტერესო, სანახაობრივი და მომენტებით დახუნძლული იყო და სტუმართაგან გიოანეს, გუსევს, კლებერს და შაცკიხს რომ ეყოჩაღათ, ვინ იცის, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რა მოხდებოდა. თუმც ისეც ნუ გაგიგებთ,





„გალაქტიკო“ თავის საჯარიმოში ყოფილიყოს მიმწყვდეული. ცხადია, ასეთი რამ და თანაც „ბერნაბეუზე“ არ მომხდარა და არც მოხდებოდა. რომ არა ალექსანდრ შოვკოვსკი, ვისაც ეტყობა, რომ კარგ ფორმაშია, სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა, ტაბლოზე 1:0-ის მაგივრად სხვა ანგარიში გვეხილა.

ოუენმა კი რონალდოს მორიგი გაბრწყინების შედეგად შეაგდო, „კიჭამ“ მარცხენა ფლანგზე მეურვეები ადგილზე გააბითურა, საჯარიმოში შესულმა კი მაიკლს უპასა, „ოქრო ბიჭსაც“ რა უნდა ექნა, ჩვეულ სტილში გაწოლილმა ბურთს ფეხი მიჰკრა და... ეს 35-ე წუთზე მოხდა.

**გიორგი გაშაკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| რომა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:10 | 0 |

IV ტური: 3 ნოემბერი

**დინამო — რეალი**

**რომა — ლევერკუზენი**

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური

### C ჯგუფი

# დიდი მატჩის ცოტა მაყურებელი

## აიაქსი იწყებს და იგებს





პაველ ნედვედმა ოლივერ კანი და „ბაიერნი" წელში გაწყვიტა

**იუვენტუსი 1:0 ბაიერნი**

1:0 ნედვედი (76)

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი, დელ პიერო (ზალაიეტა 60), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ბაიერნი: კანი, კუფური (ჰაშემიანი 80), ლუსიო, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, შვაინსტაიგერი, სანიოლი, ფრინგსი (დემიკელისი 86), ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ძებინა, ზე რობერტო

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

18 089 მაყურებელი

ტურინის „დელე ალპიზე" „იუვენტუსისა" და „ბაიერნის" პირველი, ამდენად ისტორიული შეხვედრა პაველ ნედვედის მიერ 76-ე წუთზე გატანილმა გოლმა მასპინძლების სასარგებლოდ დაასრულა. ამ გამარჯვების შემდეგ „ბებერი ქალბატონი" ცხრილში პირველ ადგილზეა, მაგრამ ქულათა არათანაბრად გაყოფის მიუხედავად თამაში, შეიძლება ითქვას, თანაბარი იყო და ეს ორივე გუნდის მწვრთნელს კმაყოფილებაზე დაეტყო.

ფელიქს მაგათი, „ბაიერნის" თავკაცი: „საკმაოდ კმაყოფილი დავრჩი. ჩვენ ძალიან კარგად ვიმუშავეთ და შეხვედრის დიდი ნაწილის განმავლობაში თამაშის მსვლელობას ვაკონტროლებდით. გვქონდა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობაც, რომელიც ვერ გამოვიყენეთ. მოკლედ, შედეგის გარდა ყველაფრით კმაყოფილი დავრჩი, ჩემი ბიჭების თამაში მომეწონა. საკმაოდ ოპტიმისტურად განმაწყობს ცხრილიც — ორი მატჩი სტუმრად უკვე ჩავატარეთ და ექვსი ქულაც გვქავს. ახლა, შინ ჩასატარებელი ორივე მატჩი უნდა მოვიგოთ".

ფაბიო კაპელო, „იუვენტუსის" მწვრთნელი: „ჩვენთვის მოგება ძალიან ძნელი საქმე გახლდათ, რადგან „ბაიერნს" ერთი თავდამსხმელი და ხუთი ნახევარმცველი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, მეტი საგოლე მომენტი ჩვენ შევქმენით და მოგებასაც ვიმსახურებდით, თუმცა მოწინააღმდეგემაც პირველ ტაიმში გვარიანად გვანერვიულა. თავდამსხმლებით კმაყოფილი ვარ, ორივეს ჰქონდა საგოლე მომენტი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გამოიყენეს.

ალესანდრო დელ პიერომ, როგორც ველოდი, ზუსტად ისე ითამაშა. მან გააკეთა ის, რაც ამ შეხვედრაში უნდა გაეკეთებინა. უბრალოდ, ტრავმის მერე მოედანზე ერთ საათზე მეტს ვერ დაჰყოფდა, ვფიქრობ, მატჩი ორივე გუნდისთვის მძიმე და რთული იყო, ერთი ეგ არის, რომ ასეთი დიდი მატჩები მეტ მაყურებელს იმსახურებს".

თქვენი ნებართვით, მაყურებლის თემას ბოლოს დავუბრუნდებით, მანამდე კი მასპინძლების კიდევ ორ ფეხბურთელს, ალესანდრო დელ პიეროს და ჯანლუკა ძამბროტას მოვუსმინოთ.

დელ პიერო: „მეტოქემ მოედნის ცენტრი გადატვირთა და ამიტომაც გამოვიდა ჩვენთვის ძნელი თამაში. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ „ბაიერნს" ერთი ქულის მოპოვება უნდოდა, რის გამოც ჩვენ რომ არ მოგვეგო უფრო იმაზე იზრუნა. რაც შემეხება მე, იქნებ მეორე ტაიმში რომ შევსულიყავი მოედანზე, უკეთესი ყოფილიყო. შეცვლით კი მხოლოდ იმიტომ შემცვალეს, რომ 90 წუთისთვის ფიზიკურად არ ვიყავი მზად. ახლა ვფიქრობ, მეორე თამაშისთვის მზად ვიქნები.

რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობას, ძალიან კარგ პოზიციაზე ვართ, თუმც ჯერ გადაწყვეტილი არაფერია".

ძამბროტა: „გერმანულ გუნდებთან თამაში ყოველთვის ძნელია. ეს გუნდები კარგად არიან ორგანიზებულნი და მათი ნახევარდაცვისა და დაცვის გარღვევა უმძიმესი საქმეა. ამას სჭირდება ისეთი ფეხბურთელები, როგორიც ჩვენი ნედვედია. იცი, რომ ადრე თუ გვიან ის თავის მომენტს დაიჭერს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო".

და ბოლოს მაყურებელზე, რომელიც „დელე ალპიზე" ძალიან ცოტა მივიდა — 18 089. ცნობისთვის: ამ სტადიონზე 70 ათასი ეტევა.

„დარდი შემომაწვა — თქვა მატჩის შემდეგ კაპელომ — ჩვენ ხომ ორ დიად გუნდზე, ორ ისტორიულ კლუბზე ვლაპარაკობთ, ისინი უკეთესს იმსახურებენ, მათ თამაშზე ტრიბუნები სავსე უნდა იყოს".

**აიაქსი 3:0 მაკაბი**

1:0 სონკი (4), 2:0 დე იონგი (21), 3:0 ვან დერ ვაარტი (33)

*სნეიდერმა ვერ გაიტანა პენალტი (88, ააცილა)*

აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, ჰეიტინგა, ნ. დე იონგი, მაქსველი, პიენაარი, ობოდაი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი (აბორა 71), სონკი (დე რიდერი 74), მიტეა (ბუხარი 60)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

მაკაბი: [illegible], სტროოლი, ნაგარი, ლ. კოენი (ბუნფელდი 84), მიშაელოფი (ზიტუნი 46), რუისი, ტ. კოენი, ი. ადო, მბამბა (მესიკა 46)

მწვრთნელი: ნირ კლინგერი

გაფრთხილება: სტროოლი, ჯოვანინი

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

48 161 მაყურებელი

„აიაქსის" მწვრთნელი, რონალდ კუმანი „მაკაბის" ძლევით კმაყოფილი იყო — ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში ამსტერდამელებმა ორი თამაში წააგეს და პლუს ეროვნულ ჩემპიონატში გასულ შაბათს „ჰერენვენთანაც" იგივე ბედი ეწიათ. ჰოლანდიელთათვის საბედნიეროდ, უესლი სონკის, ნაიჯელ დე იონგის და რაფაელ ვან დერ ვაარტის გოლებს თელ ავივის გუნდმა ვერაფრით უპასუხა.

კუმანი: „დღევანდელი მატჩით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, მით უფრო, მთელი ამ კრიტიკის შემდეგ შაბათის წაგების გამო რომ დაგვატყდა თავს. დღეს საბედნიეროდ „აიაქსმა" აჩვენა, რომ გუნდია და არა ცალკეულ ადამიანთა ჯგუფი, მაგრამ ამასთან ერთად მე პირველმა მინდა ვაღიარო, რომ ანგარიში მატჩის დასაწყისშივე რომ გავხსენით, ძალიან გაგვიმართლა. ერთადერთი, რითაც უკმაყოფილო ვარ, ის გახლავთ, რომ მეორე ტაიმში კიდევ უნდა გაგვეტანა გოლები.

ნირ კლინგერი, „მაკაბის" მწვრთნელი: „ამ საღამოს „აიაქსი" დიდებული იყო. ჩემი გუნდი ჩვეულებრივ მეტად არის ხოლმე კონცენტრირებული, განსაკუთრებით დაცვაში, მაგრამ მასპინძლებმა პირველი გოლი როგორც კი გაგვიტანეს, ჩვენ მოვიშალეთ".

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| აიაქსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| მაკაბი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

IV ტური: 3 ნოემბერი

ბაიერნი — იუვენტუსი

მაკაბი — აიაქსი

# დაისლერს დასამალი არაფერი აქვს

## ბასტი დეპრესიას საჯაროდ ებრძვის

*იმის მიუხედავად, რომ „ბაიერნის" დეპრესიაშებრუნებული ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი მიუნხენში უკვე ორშაბათსვე დაბრუნდა, მაქს პლანკის ინსტიტუტის ფსიქიატრიულ კლინიკაში ჯერ არ მისულა*



ული ჰიონესმა, დაისლერის განკურნებას დრო სჭირდებაო

„დიახ, სებასტიანი მე ჯერ არ მინახავს" — ამბობს პროფესორი ფლორიან ჰოლსბიორი, ვინაც ფეხბურთელს შარშან დეკემბერ-იანვარში 52 დღის განმავლობაში მკურნალობდა და 24 იანვარს, შინ რომ გაუშვა, ყველას გვახარა, ბიჭი სრულიად გამოჯანმრთელებულიაო.

| 5344 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |
| 5345 | ნიუკასლი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 5346 | მანჩესტერი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5347 | ატალანტა-კალიარი | 1,65 | 1,95 |
| 5348 | სიენა-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 5349 | კიევო-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 5350 | ლივორნო-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5351 | მესინა-ლეჩე | 1,6 | 2,0 |
| 5352 | პარმა-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5353 | რომა-პალერმო | 1,65 | 1,95 |
| 5354 | სამპდორია-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5355 | უდინეზე-ფიორენტინა | 1,7 | 1,9 |
| 5356 | მილანი-ინტერი | 1,6 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5217 | ზენიტი-აეკ | 1,7 | 1,9 |
| 5218 | დინამო(თბ)-სოშო | 1,65 | 1,85 |
| 5219 | ეგალეო-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5220 | ალემანია-ლილი | 1,65 | 1,95 |
| 5221 | სტიაუა-სტანდარდი | 1,7 | 1,9 |
| 5222 | დნიპრო-ბრიუგე | 1,65 | 1,95 |
| 5223 | ფეიენოორდი-პართსი | 2,0 | 1,55 |
| 5224 | პანიონიოსი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 5225 | შალკე-ბაზელი | 1,95 | 1,65 |
| 5226 | ამიკა-რეინჯერსი | 1,7 | 1,9 |
| 5227 | ბევერენი-შტუტგარტი | 1,85 | 1,75 |
| 5228 | სარაგოსა-უტრეხტი | 1,85 | 1,75 |
| 5229 | ოსერი-გრაცერი | 1,7 | 1,9 |
| 5230 | ლაციო-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 5231 | ბილბაო-პარმა | 1,75 | 1,85 |
| 5232 | ბენფიკა-ჰერენვენი | 1,85 | 1,75 |
| 5237 | ნორვიჩი-ევერტონი | 1,7 | 1,9 |
| 5238 | ასტონ ვილა-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5239 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,9 | 1,7 |
| 5240 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 5241 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5242 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5243 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 5244 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |
| 5245 | ნიუკასლი-სიტი | 1,85 | 1,75 |
| 5246 | მანჩესტერი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5247 | ატალანტა-კალიარი | 1,7 | 1,9 |
| 5248 | სიენა-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5249 | კიევო-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 5250 | ლივორნო-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5251 | მესინა-ლეჩე | 1,9 | 1,7 |
| 5252 | პარმა-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 5253 | რომა-პალერმო | 1,85 | 1,75 |
| 5254 | სამპდორია-ბრეშა | 1,75 | 1,85 |
| 5255 | უდინეზე-ფიორენტინა | 1,7 | 1,9 |
| 5256 | მილანი-ინტერი | 1,9 | 1,7 |

# ეს ბიჭი ხუთეულში მინდა

## ფაჩულია დალასს დაეცა



ზაზა ფაჩულია „მილუოკიში" რაც უფრო მეტ საგამოფენო მატჩს თამაშობს, მით უფრო ამტკიცებს, რომ მისი ადგილი „ბაქსის" დამწყებ ხუთეულშია.

აგერ, „ხარირემთა" კიდევ ერთი სპარინგ-მატჩი და კვლავ ათქულიან თამასას აცდენილი ქართველი ცენტრი. „მილუოკიმ" „დალას მავერიკსი" დალასშივე რომ დასცა, ვისკონსინური „ჯორნალ სენტინელის" განცხადებით, ამაში ლომის წილი ზაზა ფაჩულიას უდევს.

ლომი იქით იყოს და სამშაბათ საღამოს დალასში ზაზამ „ხარირმებს" ნაღდად უქორბუდა. მართალია, მილუოკელთა ფორვარდმა დესმონდ მეისონმა ქართველზე გაცილებით მეტი ქულა მოიხვეჭა, მაგრამ პრესამაც და „ბაქსის" მთავარმა მწვრთნელმა ტერი პორტერმაც ზაზა ფაჩულია გამოარჩიეს. ჩვენებურს ყველაზე მეტი ჯაფა დაადგა, რაკი სწორედ მას ევალებოდა დირკ ნოვიცკის გარეშე მოთამაშე დალასელთა მძლავრი ცენტრის ერიკ დამპიეს გაჩერება. თუ როგორ გაართვა ამ ამოცანას ქართველმა გოლიათმა თავი, მატჩის შემდეგ თავად პორტერი ლაპარაკობდა...

„ზაზამ ამ საღამოს დიდებულად ითამაშა — მილუოკელთა მწვრთნელი აშკარად ნასიამოვნები ჩანდა — ის მართლაც საუკეთესო იყო, ფაჩულიამ ბევრი სახეირო რამ გააკეთა ამ საღამოს. მას ევალებოდა ერიკ დამპიეს გაჩერება, რაც ფაჩულიამ მშვენივრად მოახერხა. ის არაფერს უთმობდა დალასელთა გამოცდილ ცენტრს და შეუპოვრად ებრძოდა. დამპიეს შეჩერებას დღეს ნბა-ში რამდენიმე ცენტრი თუ მოახერხებს და ფაჩულიამ ეს რომ შეძლო, მის სოლიდურობაზე მეტყველებს. მე ზაზას იმ ბიჭების გვერდით ვაყენებ, რომლებსაც მომავალ სეზონში დავეყრდნობი. მის ხუთეულში დაყენებაზე უკვე სერიოზულად ვფიქრობ."

ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ „ჯორნალ სენტინელმა" საამმატჩო რეპორტაჟი ასე დაასათაურა: „ბაქსს" მოსწონს ფაჩულიას სტილი"... და იქვე ქვესათაურიც: „ახალწვეულმა დალასში კარგად ითამაშა".

ამ სტატიაში, რომელიც ტომ ენლუნდს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „მილუოკის" ახალწვეულმა ჯერ მხოლოდ მეოთხე საგამოფენო მატჩი ჩაატარა და უკვე დიდი ნაბიჯი გადადგა ხუთეულისკენ. ფაჩულიამ დალასში ხუთეულში ითამაშა და „ბაქსმა" რომ მოიგო, უპირველესად მისი დამსახურებაა. ორ კვირაში პორტერმა უნდა გამოაცხადოს „მილუოკის" ხუთეული და მასში მოსახვედრად ფაჩულიას შანსები სამშაბათს ერთიორად გაიზარდა."

რა გააკეთა ზაზამ, მილუოკელთა ასეთი ქება რომ დაიმსახურა? ისეთი არაფერი, რაც მანამდელ მატჩებში არ გაუკეთებია — 24 წუთში 11 ქულა და 9 მოხსნა მოიხვეჭა. ანუ ზაზა ისევ არ ჩამოცდა ათქულიან ზღვარს და მილუოკელებს სწორედ მისი სტაბილურობა მოსდით თვალში. ამასთან, 9 მოხსნაც ჩინებული შედეგია, თუმც თავად ფაჩულია ფიქრობს, რომ უფრო შედეგიანი იყო ფარქვეშ... „მხოლოდ ცხრა? — უკვირს ზაზას — ვფიქრობ, უფრო მეტი მოხსნა მქონდა, მეგონა ორმაგი დუბლი გავაკეთე."

კარგ ხასიათზე იყო და ზაზამ ნამატჩევს ესეც თქვა: „მილუოკიში ჩამოსვლის დღიდან თანდათან ვრწმუნდები, რომ ჩემი ადგილი სწორედ აქაა. მშვენიერი გუნდელები მყავს და თავს ჩინებულად ვგრძნობ."

**ირაკლი ბერტაია**

*საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი დავით საყვარელიძე წარმატებით ჩაერთო საფრანგეთის დუბლიორთა ჩემპიონატში — „შალონის" შემადგენლობაში უკვე ორი მატჩი ითამაშა და მწვრთნელთა ქებაც დაიმსახურა. თავად საყვარელიძე კი თურმე მთლად კმაყოფილი არაა საკუთარი თამაშით და ამბობს, მეტიც შემიძლიაო — „მეორე მატჩი პირველზე უკეთ ვითამაშე, მაგრამ უფრო მეტს შევძლებდი, საწყისი ორი ტური ტრიბუნაზე რომ არ გამეტარებინა." რაში იყო საქმე? მოვუსმინოთ თავად საყვარელიძეს...*

# ცნობის ფურცელი

## საყვარელიძის ამბების დასტა



— მცირე გაუგებრობა მოხდა და საწყისი ორი ტური გამოვტოვე. ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს მწვრთნელებმა მითხრეს, რომ ჩემი გათავისუფლების ფურცელი არ ჰქონდათ.

**— ასეთი შეცდომა როგორ მოუვიდათ, მანამდე არ იცოდნენ, რომ არ ჰქონდათ შენი გათავისუფლების ფურცელი?**

— რა ვიცი, არავინ მიაქცია ამას ყურადღება. მოლაპარაკებები როცა მიმდინარეობდა და ყველაფერი კონტრაქტის გაფორმებით დამთავრდა, ყველას ეგონა, ეს პრობლემაც მოგვარდა. ყურადღება არავინ მიაქცია ჩემს გათავისუფლების ფურცელს და სამწუხაროდ, ორი ტური გამიცდა.

**— მერე ასე უცებ როგორ მოგვარდა ეგ საქმე? შარშან ვიქტორ სანიკიძეს ორი თვე დასჭირდა, რათა საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან გათავისუფლების ფურცელი მიეღო...**

— ჰოდა, ასე მალე რომ მოგვარდა, მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს კალათბურთის ფედერაციას და პირადად მის პრეზიდენტს, ბატონ ბესიკ ლიპარტელიანს. მახსოვდა, რომ სანიკიძე შარშან გაწვალდა ამ საბუთის არქონის გამო, მგონი, ორ თვეზე მეტი მოანდომა მის მიღებას, მე კი ყველაფერი ექვს დღეში მომიგვარეს და ძალიან კმაყოფილი ვარ.

**— თუ ექვს დღეში მიიღე საჭირო დოკუმენტი, ორი ტური რაღაზე გააცდინე?**

— საქმე ისაა, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში პირველ ორ კვირაში ორ-ორ ტურს თამაშობენ. ანუ სეზონის გახსნის მატჩი 9 ოქტომბერს რომ ვითამაშეთ, მომდევნო 12-ში გვქონდა. მეც ეს მატჩები გამიცდა, მერე კი გათავისუფლების ფურცელიც ჩამომივიდა...

**— კლუბმა თავად მოაგვარა ურთიერთობა საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან?**

— მგონი, არა. ჩვენს ფედერაციასთან საქმეს ჩემი აგენტი სალივან რიდი არკვევდა. ისე, ცოტა კურიოზული ამბავი მოხდა: „შალონის" დუბლების მწვრთნელი მოვიდა და მეუბნება, შენი გათავისუფლების ფურცელი არ გვქონია და დაგვეხმარეო. რა ვქნა, ჩემს მენეჯერს თუ დავურეკავ, სხვა რა შემიძლია-მეთქი, ვუპასუხე. დავურეკე რიდს და არც მეგონა, თუ ასე უცებ მოახერხებდა პრობლემის მოგვარებას.

**— შალონელებმა რამე თანხა გადაიხადეს მაგ დოკუმენტში?**

— არ ვიცი, რაღაც თანხას ალბათ გადაიხდიდნენ კიდეც, მაგრამ რამდენს, ვერ გეტყვი.

**— თამაშებით თუ ხარ კმაყოფილი?**

— მთლად კმაყოფილი არ ვარ, რადგან აშკარად მეტის გაკეთება შემეძლო. თუმც ეს არაფერია, წინ მთელი სეზონია და, რაც მთავარია, ცუდად არ დამიწყია. ის კი არა, ბოლო თამაშის შემდეგ „შალონის" დიდი გუნდის მწვრთნელი და მოთამაშეები მოვიდნენ ჩემთან, ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარო.

**— დებიუტზე რას იტყვი?**

— დებიუტი „რუანთან" მქონდა და ზუსტად იმდენი ქულა გავაკეთე, რამდენიც მეორე მატჩში „რეიმსთან". ორივეს 12 ქულა ჩავუგდე, ისე კი „რუანთან" 6 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა მქონდა, ხოლო „რეიმსთან" 5 მოხსნა და 2 პასი.

**— პირველ მატჩში უფრო შედეგიანი ყოფილხარ...**

— სტატისტიკა ხომ არაა მთავარი — „რეიმსთან" ქულათა უმეტესობა ბოლო მეოთხედში გავაკეთე, რამაც მატჩის შედეგზე იქონია გავლენა — ჩვენ მოვიგეთ.

**— სერგო ათუაშვილის საქმეები როგორაა?**

— სერგოს დიდ გუნდში ჯერ არ უთამაშია, დუბლებში კი ძალიან გვეხმარება. „რუანთან" მან დიდებულად ითამაშა და მწვრთნელთა მოწონებაც დაიმსახურა. ათუაშვილი თანდათან ეგუება აქაურობას, ვარჯიშებზე მონდომებულია და ალბათ მალე „შალონის" დიდ გუნდშიც ითამაშებს.

**ირაკლი ბერტაია**



**მასტერსის სერია**
**მადრიდი.**
**ხელოვნური ბალახი**
**საპრიზო 2,425 მილიონი €**

**პირველი წრე**

**რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:2, 6:1; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:4, 6:7 (10:12), 7:6 (7:5); **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4, 6:1; **გილერმო კანიასი** (არგენტინა) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 5:7, 7:5, 6:1; **ტაილორ დენტი** (აშშ) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3, 6:2

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი** (2, აშშ) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 (7:5), 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (4, არგენტინა) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:3; **ანტონი დიუპუა** (საფრანგეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (12, არგენტინა) 7:6 (7:4), 6:3

# ქალი დეკორაციაა

## აგასის ცოლმა უშველა

34 წლის ანდრე აგასის როჯერ ფედერერთან აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ აღარსად ეთამაშა. ამიტომ მადრიდულ ხელოვნურ ბალახზე მის გამოჩენას საჩოგბურთო თემი დიდი ინტერესით ელოდა.

ეს ინტერესი რვაგზის სლემტიტულოსან არმენოამერიკელს არ გაუცუდებია — ახმახ ბელარუს მაქს მირნის ყოჩაღად ებურთავა და თუმცა პირველ სეტში მხოლოდ ტაიბრეიკზე აჯობა, მეორე სეტში უკვე დამაჯერებლად გაუსწორდა.

გაიბრწყინა ესპანელთა უწლოვანმა ჯილა რაფაელ ნადალმა, ვინაც გამოცდილი იტალიელი სანგვინეტი ჰგვემა და მეორე წრეში ამერიკელ ვინს სპედიას თუ ჰგვემს, სწორედ ბებერ ანდრანიკს დაეჯახება.

ვენაში კარიერის პირველი ტიტულის მომხვეჭმა ფელისიანო ლოპესმა მშობლიური მასტერსი ასევე რიგიანად დაიწყო და აყლაყუდა ხორვატ ივო კარლოვიჩთან ხანგრძლივი ბუქნაობის მერე გუშლამ მარატ საფინთან ბულრაობა გაიჩალიჩა.

მაგრამ ყოველივე ამაზე მეტად ესპანელთა სატახტოში მაინც ბურთის მომწოდებლებად ეშხიან მოდელგოგონათა დასაქმების შესახებ საუბრობენ.

საქმეში მთავრობის მავანი მალაჩინოსანი მდედრი, ვინმე სოლედად მურილიოც ჩაერია და ტურნირის ორგანიზატორებს საპროტესტო წერილით მიმართა. წერილში ნათქვამია, რომ ტურნირისადმი ყურადღების მისაქცევად მოტიტვლებულ მოდელთა გამოყენება ქალების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის აშკარა გამოხატულებაა. „ქალები ამ შემთხვევაში მხოლოდ დეკორაციისა და გართობის ობიექტები გამოდიან" — სწერია იქ.

ქალბატონი მურილიო შექმნილი ვითარების აღსაწერად ისევ გამოიყენებს სიტყვა „სექსიზმს" და მწუხარებით დასძენს, რომ ესპანური საზოგადოება ჯერაც ვერ გამოსულა შუასაუკუნეობრივი მაჩო-ხვადური განწყობების ტყვეობიდან.

მოკლედ — დიდი ამბავია ატეხილი.

სხვათა შორის, გუშინ ამ ამბავს შეეხმიანა ანდრე აგასიც და იმათი მხარე დაიჭირა, ვინაც საჩოგნეთში ხალხის მისაზიდად ნახევრადშიშველი მდედრიონის შერეკვას თამაშის წამურდვლად მიიჩნევს.

„სიმართლე გითხრათ, ასეთ გარემოში ბურთზე კონცენტრირება ძალიან მიჭირდა — თქვა მან — მხოლოდ იმან მიშველა, რომ ხშირად ჩემ ცოლს (შტეფი გრაფს) ვეთამაშები ხოლმე."

**ლევან ბელაურაძე**

დასასრული
დასაწყისი იხ. „სარბიელი"
№223, №225, №231, №233 და №236

# ნენიკიკამენ!

## ისევ მღვდლისა და მარათონელის ამბავი

მარათონული რბენა ოლიმპიური თამაშების აპოთეოზიაო, ჯერ კიდევ ჩვენი სერიალის დასაწყისში შევახსენეთ. ამიტომ ისე როგორ იქნებოდა, რომ ათენში ისედაც სამარათონო ტრასაზე, მართონთან ახლოს დაბინავებულები გაძლებაზე მორბენალთა შეჯიბრებაზე არ წავსულიყავით. არც გვინანია, რადგან ამ მარათონს ერთი ისტორიული სიგიჟე დაუკავშირდა. თავის მხრივ ეს სიგიჟე მღვდელმა, უფრო სწორედ მღვდელყოფილმა ითავა. ასე რომ, ათენის ოლიმპიური თამაშების აპოთეოზი, ყველაზე გახმაურებული ინციდენტი, თავშესაქცევი ამბავი, დრამატული მოვლენა, კრიმინალი თუ სიგიჟე, ერთმანეთში ჩაიხლართა.

მაგრამ მანამ ამ ამბავზე მოგითხრობდეთ, რამდენიმე სიტყვით თავად მარათონს გაგაცნობთ.

როგორც თავიდანვე ვთქვით, დღევანდელი მარათონი ანტიკური ხანიდან დიდად ცნობილი იყო. მაშინ მარათონი ოთხ ზონად იყოფოდა. თითოეული ზონა მიწის ფართო მონაკვეთს მოიცავდა და დემოსად იწოდებოდა. რაც თანამედროვე ტერმინოლოგიით მუნიციპალიტეტს ნიშნავს. ეს ოთხი დემოსი ქმნიდა ლოკალურ კავშირს. რასაც ტეტრაპოლისს უწოდებდნენ. ამ ტეტრაპოლისის ყველაზე მნიშვნელოვანი დემოსი მარათაონი იყო და დღემდე ასეა. სწორედ მისი სახელი ეწოდა მთელს კავშირსა თუ ტეტრაპოლისს, რომელშიც მარათონის გარდა შედიოდნენ სხვა დემოსები — ოინოუ, პრობალინტოსი და ტრიკორინტოსი. ანტიკური მწერლები და ისტორიკოსები როდესაც სუბრობენ ამ ტეტრაპოლისზე, მის სახელად ყველანი მარათონს ახსენებენ.

თანამედროვე მარათონის მუნიციპალიტეტი 1835 წელს სამეფო დეკრეტით დაარსდა და მაშინ მარათონში კიდევ რამდენიმე სოფელთან ერთად 2692 მოსახლე ყოფილა. დღეს მარათონი ქალაქად იწოდება და მას ირგვლივ რამდენიმე სოფელი და დასახლება აკრავს, რაც საერთო ჯამში 8975 მცხოვრებს ითვლის.

შინაარსისა რა მოგახსენოთ, ფორმით კი მარათონი მაინც სოფელს ჰგავს, ოღონდ თანამედროვე სოფელს, რომელიც ზედ გზაზე მდებარეობს და მისი მთავარი ქუჩაც ის გზაა. მის ორთავე მხარეს საცხოვრებელი სახლები ჩარიგებულა, მათ მფლობელთაგან ბევრს კაფეები და ტავერნები მოუწყვია, მაგრამ ისინი, მგონი, უქმად ცდებიან. იმ გახურებული მარათონის დღესაც კი





ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

მარათონელთა სტარტი მარათონში

იქით ქართველ ჟურნალისტებთან ერთად კიდევ რამდენიმე კინკილა ტურისტს წაუცდა ფეხი. თუმცა ამის მიზეზი შესაძლოა პაპანაქება სიცხე იყო, რის გამოც ის მთავარი ქუჩაც გაუკაცრიელებულიყო.

ეგ კი არა, შეჯიბრების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრეც კი სტარტის ადგილზე ქართველი ჟურნალისტებისა და რამდენიმე მომსახურე პერსონალის გარდა კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, 10-15 წუთით ადრე კი მაყურებელი ერთბაშად საიდანღაც მოზღვავდა, ნიაღვარივით მოვარდა და შესასვლელთან უშველებელი რიგი დადგა.

მარათონელთა შეჯიბრებაზე ათენში აკრედიტებული ათი ქართველი ჟურნალისტიდან ოთხნი ვიყავით, მაგრამ იმ სიგიჟეს ვერავინ შევესწარით. იმ ოთხიდან სამმა, თამარ ბალავაძემ, ზურაბ თალაკვაძემ და თქვენმა მონამორჩილმა მარათონში მარათონელთა სტარტის ადგილს მივაშურეთ, ჩვენი ერთი კოლეგა, პაატა ნაცვლიშვილი ათენში ანტიკურ მარმარილოს სტადიონზე ფინიშის ადგილზე გამწესდა, ის ამბავი კი სადღაც 37-ე კილომეტრზე მოხდა, როცა ფინიშამდე რაღაც ხუთიოდე კილომეტრიღა რჩებოდა. თუმცა, რაღა „რაღაც", როცა მარათონელებისთვის ეს მონაკვეთი ყველაზე კრიტიკულია. ძირითადად სწორედ ამ მონაკვეთიდან ეთიშებიან ბრძოლას: ზოგი ქანცგაწყვეტილი, ზოგიც გულშეღონებული. ამიტომაც იყო, სტარტისკენ გეზაღებულები ფინიშისკენ მიმავალ ჩვენს კოლეგას რომ ვეხუმრებოდით, აბა, შენ იცი, მარათონიდან ვისაც გამოვაქცევთ, მარმარილოს სტადიონზე უკლებლივ ყველა ჩაიბარე და სათვალავში არავინ დაგაკლდესო. მანამდე, ერთი კვირით ადრე ქალთა მარათონში, სადაც სტარტი 82 მორბენალმა აიღო, ფინიშამდე 16 ველარ მიაღწია. მათ შორის პირველი ვინც ბრძოლას გამოეთიშა, განთქმული ბრიტანელი პაოლა რედკლიფი იყო, რომელიც შარშანდელი 13 აპრილის მერე მსოფლიოს რეკორდსმენია (2:15,25).

პაოლას თითქოს ამ მარათონისას საპატიო კვარცხლბეკზეც უნდა აერბინა, რადგან სულ ლიდერებში იყო. პირველი 5 კილომეტრის მერე მესამე იყო, 10 კილომეტრის მერე — პირველი, 15 კილომეტრზე — მეორე, მე-20-ზე — მეშვიდე, შუა დისტანციაზე — მეორე, 25-ე კილომეტრზე — მესამე, 35-ეზეც — მესამე და სწორედ ამის მერე, სამწუხაროდ, გამძლეობამ უმტყუნა.

ამ კლასიკურ მარათონში ველარ ვიხილეთ წინა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ოლიმპიური რეკორდსმენი, იაპონელი ნაოკო ტაკაჰაში, თუმცა, პირველობა მაინც მის თანამემამულე მიზუკი მოგუჩის დარჩა (2:26.20), რომელიც 25 კილომეტრიდან მოყოლებული ერთპიროვნულად ლიდერობდა.

„ამომავალი მზის" ქვეყნის ქალებს ბოლო წლებში ამტანობა უჩვეულოდ მომატებიათ, რადგან საუკეთესო შვიდეულში კიდევ ორი მათგანი მოხვდა, მეორე და მესამე ადგილები კი კენიელმა კატერინ ნდერევამ (2:26.32) და ამერიკელმა დენა კასტორმა დაიკავეს (2:27.20)

სხვათა შორის, ქალთა ჩემპიონი ვაჟთა მარათონში რომ გამოსულიყო, 33-ე ადგილს დაიკავებდა. და ეს იმ დროს, როცა სტარტაღებული 102 ვაჟიდან მარმარილოს სტადიონზე მყოფ ჩვენს კოლეგამდე 82 მიაღწია. მათ შორის მსოფლიოს რეკორდსმენი (2:04.55) კენიელი პოლ ტერგატი მეათე იყო (2:14.45). იგი გამარჯვებულ იტალიელს სტეფანო ბალდინის (2:10.55) 3 წუთით და 5 წამით ჩამორჩა. მაგრამ ჩემპიონი, ეტყობა, ბრაზილიელი ვანდერლე ლიმა უნდა ყოფილიყო.

ეს საბრალო ბრაზილიელი მარათონს ლიდერობდა და ალბათ უკვე ოქროს მედლის გარდა სხვა ჯილდოზე აღარც ფიქრობდა,. როცა 37-ე კილომეტრზე პაპაგუს გასცდა და სადაც იყო შუაგულ ათენში უნდა შესულიყო. სწორედ იმ დროს ტრასაზე შოტლანდიურ ქვედაბოლოში გამოწყობილი ვიღაც კაცი გამოვარდა, ვანდერლეი ლიმას ხელი სტაცა და შეჯგუფული მაყურებლისკენ დასაკლავი ბოჩოლასავით წაათრია.

საბრალო ბრაზილიელს თავიდან წინააღმდეგობა მაინცდამაინც არ გაუწევია, რადგან მოულოდნელობისგან, როგორც მერე თვითონ თქვა, დაიბნა და შიშით ლამის გული გაუსკდა. მოულოდნელობისგან ბრინჯივით დაიბნა ის პოლიციელიც, რომელიც ბრაზილიელის დაწინაურების შემდეგ ლიდერს დაცვის მიზნით ველოსიპედით აედევნა.

როცა დე ლიმა და მაყურებელიც გონს მოეგო, გამტაცებელთან ჯაჯგურიც დაიწყო და საერთო ძალით ბრაზილიელმა თავი დაიხსნა, რბენა განაგრძო, ერთხანს კიდევ ლიდერობდა, მაგრამ იმ ჯაჯგურში ენერგიაც დაკარგა, რიტმიდან ამოვარდა და ბოლოს ფინიშთან მესამე მივიდა. იგი გამარჯვებულ იტალიელ სტეფანო ბალდინის წუთით და 16 წამით ჩამორჩა, მეორე ადგილოსან ამერიკელს მებრატონ კეფლეზიგის კი მხოლოდ 34 წამით. ასე რომ, ამ ბრაზილიელს იმ გადარეულმა ნაღდი ოქროს მედალი დააკარგვინა. შოტლანდიურ ქვედაბოლოიან შერეკილს ზურგზე ეწერა: „დიდი პრიზი"... და კიდევ: „და ისრაელში აღსრულდება წინასწარმეტყველება".

რა წინასწარმეტყველებაზეა საუბარი, ეს ალბათ იმ გადარეულმაც არ იცის, მაგრამ ისრაელის ხსენებაზე უნდა [illegible] ერთი იტალიური მარათონელიც — [illegible] სატავენი, რომელიც 102 ვაჟიდან ფინიშთან მეოცე იყო — 2:17.45 — [illegible] გამარჯვებულს მხოლოდ 6 წუთით და 30 წამით ჩამორჩა, ჩვენი ყურადღება კი იმით დაიმსახურა, რომ ბიჭებში მორბენალი ნამდვილი ბიძა კაცი იყო — 49 წლის გახლდათ!

მაგრამ დავუბრუნდეთ ბრაზილიელს, რომელსაც ჯერ მარმარილოს, სულ ცოტა ხანში კი მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე, ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე დაჯილდოებისას უფრო მეტი ოვაცია გაუმართეს, ვიდრე გამარჯვებულ იტალიელს. დე ლიმას ბრინჯაოს მედალთან და კუნძულ კრეტაზე უძველესი, 3000 წლოვანი ზეთისხილის რტოებისგან მოწნულ გვირგვინთან ერთად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის სახელობის მედალიც გადასცა. ეს ჯილდო, „ოლიმპიური თვისებების უთვალსაჩინოესი გამოვლენისთვის" იყო თავისებური კომპენსაცია დაკარგული ოლიმპიური ოქროს საზღაურად და იმისთვისაც, რომ იგი შეჯიბრების ორგანიზატორებმა ვერ დაიცვეს.

ალბათ ეს იყო ყველაზე დიდი ლაფსუსი, რომელიც ოლიმპიადის მასპინძლებს მოუვიდათ. და იმის გამო, რომ ათენში უარესი არ მოხდა, ოლიმპიადის მერე გახარებულმა ბერძნებმა ლეგენდარული ფიდიპიდესავით შესძახეს: „ნენიკიკამენ"! — ჩვენ გავიმარჯვეთ.

მართლაც გაიმარჯვეს, რისი იმედიც ოლიმპიადამდე, მგონი, აღარავის ჰქონდა.

მაგრამ ვინ იყო ის კაცი, რომელიც შარაგზის ყაჩაღივით თავს დაესხა ბრაზილიელს? ეს ის შერეკილი ირლანდიელი კორნელიუს ორანი აღმოჩნდა, ვინც შარშანაც ინგლისის ქალაქ სილვერსტოუნში ფორმულა-1 ის ტრასაზე გავარდა. კორნელიუსი უფრო ადრე მღვდელი იყო, რომლისთვისაც სხვა სიგიჟისთვის ანაფორა გაუხდიათ და უფლებამოსილება აუყრიათ.

და აქ როგორ არ უნდა გავიხსენოთ 1896 წელი, პირველი ოლიმპიური თამაშები, მარათონული შეჯიბრების დაახლოებით იგივე მონაკვეთი, ქარილაოს ვასილაკოსი, მისი თქმით გზად შემოფეთებული მატყუარა მღვდელი და ტრასის იმავე მონაკვეთზე მისი სიცრუის გამო ატეხილი გამიშვი-დამიჭი...

თუმცა, ამის თაობაზე უკვე გიამბეთ...

**ავთანდილ გურასაშვილი**




მღვდელყოფილისა და მარათონელის ჭაჭგური



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

მარათონის მთავარი ქუჩა

# ჯეჯილი დამწიფდა
## გუჯეჯიანი ბიჭი აღარაა

*საქართველოს ნაკრებში მყარად ფეხმოკიდებულმა მძიმეწონოსანმა ლაშა გუჯეჯიანმა ახალგაზრდულში თავისი ბოლო გამოსვლა მსოფლიოს ჩემპიონობით აღნიშნა და ბრწყინვალე წრე შეკრა. აქამდე ლაშას ანგარიშზე 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე და ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროები იყო. მძიმე წონისთვის უჩვეულოდ პატარა ტანის ძიუდოისტის უპირატესობა სისწრაფე და შემართებაა. სწორედ ამ თვისებებით ჩაგრავს თავისზე ბევრად მძიმეებს, თუმც მთავარი ბრძოლები ჯერ წინაა. ახალგაზრდულმა ტურნირებმა ჩაიარა და ლაშა გუჯეჯიანი ახლა იწყებს ნამდვილ ჭიდაობას*



— ბუდაპეშტში ჩასვლისთანავე თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა — აუცილებლად ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი. ახლახან ევროპის ჩემპიონატიდან ოქროს გარეშე დავბრუნდი, უნგრელ ბართა ბორთან წავაგე და მასთან ანგარიში მქონდა გასასწორებელი. მისსავე კედლებში რევანშის აღება განსაკუთრებით სასიხარულო იქნებოდა და საქმეს მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდე. ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— ჩემპიონატის მსვლელობისას როდის ირწმუნე, რომ ვეღარავინ შეგაჩერებდა?

— ასეთი მომენტი არ ყოფილა. თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი.

— წონაში შენსავით გამოცდილი არავინ ყოფილა. ამან ცოტა ზედმეტად ხომ არ დაგტვირთა ფსიქოლოგიურად?

— ბუდაპეშტში შეყრილი ძიუდოისტებიდან ოლიმპიადამოვლილები მარტო მე და ციცირიძისი, იგივე გედენიძე ვიყავით, რაც ცხადია თავისებური ტვირთიც იყო ჩვენთვის, მაგრამ ამის გასანეიტრალებლად ისევ ათენური გამოცდილება კმაროდა. ქართველებს ჯერ ისე უფრთხიან და მით უმეტეს, რომ გაიგეს, ასეთი გამოცდილიაო. თუმც სერიოზული წინააღმდეგობა მაინც ვერავინ გამიწია.

— ყველა ბრძოლა წმინდად მოიგე, მაგრამ შედარებით რთული მეტოქე ვინ გამოდგა?

— ყველაზე დიდხანს რუს ვოლკოვთან ნახევარფინალი გამიგრძელდა და აქედან გამომდინარე, ალბათ ის უნდა გამოვარჩიო, მაგრამ აქ ერთი ფაქტორიც უნდა გავითვალისწინო. ვოლკოვთან შეხვედრა დღის პირველი ბრძოლა იყო და ის დროც გასახსნელად დამჭირდა.

— მსაჯობმა შენც ხომ არ შეგიქმნეს პრობლემები?

— ერთ-ორ გაურკვეველ გაფრთხილებას თუ არ ჩავთვლით, პრობლემა არ შემქმნია. ისე, საამისოდ მსაჯებისთვის პატარა საბაბიც არ მიმიცია.

— მსოფლიოს ჩემპიონატის ფოტოებიდან ჩანს, რომ ტანად სხვა მძიმეწონოსნებზე პატარა ხარ. ახალგაზრდებში მაინც იჩემპიონე, მაგრამ დიდებში ცოტა ძნელი ხომ არ იქნება?

— ფიზიკურ მონაცემებში ჩამორჩენას სისწრაფით და საბრძოლო შემართებით ვაწონასწორებ. ასე რომ, მსუბუქი წონა ჩემს მინუსად არ მიმაჩნია. ბუდაპეშტში თითქმის ყველაზე პატარა ვიყავი, თუმც ამას ხელი არ შეუშლია.

— ოლიმპიადაზე კი ისე გამოჩნდა, თათაროღლუმ წონით გაჯობა.

— თურქთან წაგებას წონას ვერ დავაბრალებ. უბრალოდ ჩემი დღე არ იყო, ვერ განვეწყვე, როგორც საჭირო იყო და დავისაჯე, თორემ თვენახევრით ადრე თათაროღლუსთან მოგებული მქონდა.

— ჩემპიონობა როგორ აღნიშნე?

— დიდი ზეიმი არ მომიწყვია. ამისთვის ახლობლების გვერდით ყოფნა იყო საჭირო, სულ მცირე, ჩემი მეუღლის მაინც. ამ ჩემპიონობას მთლიანად მას ვუძღვნი. რაც შეეხება უნგრულ მოლხენას, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამართულ ბანკეტზე ჩემი ოქრო და ზაზას ვერცხლი ბიჭებმა ერთად „დავასველეთ".

— ნამდვილი ქეიფი და მილოცვები თბილისში დაბრუნების ლამესვე დაიწყებოდა...

— სიმართლე გითხრა, დიდ ყურადღებას ვერ ვგრძნობ. მესმის, ეს გამარჯვება ახალგაზრდებში მოვიპოვე და მთავარი მაინც დიდი ტიტულებია, მაგრამ ელემენტარული ყურადღება რომ გამოიჩინონ, მაინც კარგი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს ჩემს ასაკში ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა.

— გულშემატკივრობა თუ გყავდათ ბუდაპეშტში?

— უნგრეთში მყოფი ქართველებიდან დარბაზში არავინ მინახავს. ქომაგობით კი ბიჭები ვქომაგობდით ერთმანეთს. ასევე სულ ჩვენს გვერდით იყვნენ საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ციცირიძისები: გედენიძე და სონიშვილი და რუსეთის სახელით მოჭიდავე ერეკლე კოპალიანი, რომელიც 81 კილოგრამში ჩემპიონი გახდა.

— საქართველოს ჩემპიონატი ახლოვდება, შენ თუ იჭიდავებ?

— თითქმის ტრადიციად იქცა, საქართველოს პირველობას ძირითადი მოჭიდავეები ტოვებენ ხოლმე. თუ წელსაც ასე მოხდა, მეც გამოვტოვებ.

— 7 ნოემბერს ქართულ ჭიდაობაში ფალავნობა თამაშდება. მასზე გახვალ?

— ფალავნობისთვის სიამოვნებით ვიჭიდავებ.

— კლუბ „საგარეჯოში" თუ გაწევრიანდი?

— როგორც მითხრეს, ამ კლუბში მეც ვარ, რაც მართლა გამიხარდა. ვეცდები ჩემი წვლილი ქართული საკლუბო ძიუდოს გამარჯვებაშიც დავიდო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



### საქართველოს XV ჩემპიონატი

პირველი წრე. „ბ" ქვეჯგუფი

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

**ქუთაისი 31:20 ჭაბუკები**

**ქუთაისი:** ხინგავა, ნიქაბაძე, ბოყოჩაძე (გაიტანა 12 გოლი), გობეჯიშვილი (8), მანაძე (5), გოგონაძე (2), კუჭუხიძე (2), მამასახლისი (1), გაბედავა (1), აბულაძე, შარაშენიძე, დოლაკიძე, მამულაშვილი, ცერცვაძე

**ჭაბუკები:** კუპატაძე, პაპავა, მსხვილაძე (11), მელიქიშვილი (6), ზაქარიაშვილი (2), ი. ჩიქოვანი (1), გ. ჩიქოვანი, გ. ტორონჯაძე, ი. ტორონჯაძე, ჯორბენაძე, კაიშაური, ჯოხარიძე, ხომერიკი, ზაალიშვილი

*მსაჯები:* მერაბ მეტრეველი და ვახტანგ ბერიაშვილი

**ბათუმი 29:29 სამტრედია**

**ბათუმი:** მელაძე, ურუშაძე (7), ზ. მეხრიშვილი (7), გიორგაძე (4), სიხარულიძე (4), ი. წიტაიშვილი (3), კაცაძე (3), ნ. მეხრიშვილი (1), კონცელიძე, კეკელიძე, ვარშანიძე, გ. წიტაიშვილი, დავითაძე

**სამტრედია:** კიკნაძე, ბერეკაშვილი, ჯულაყიძე (7), ჯოჯუა (5), ჭანტურია (5), ხელისუფალი (4), ქავზინაძე (4), ლომსაძე (2), ხვიჩია (1), კარაკაშიანი (1), ხარებავა, მოწყობილი, დუნდუა, ნიკურაძე

*მსაჯები:* ელენე არაბული და გიორგი ბროლაძე

# ჩემპიონატს ბოყოჩაძე შეყოჩებს

**გუნდების** სარეკორდო რაოდენობამ გამოთქვა ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს XV ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი. ეროვნულ სარბიელზე ათ კლუბს არასოდეს მოუყრია თავი.

ეგაა, შედარებით გაუჭირდათ რეგიონების წარმომადგენლებს — სამონაწილეო, თუმც სრულიადაც არაკატასტროფული თანხის გარდა თბილისში სამივლინებო ფულიც ხომ უნდა ეშოვათ. ბოლო დღემდე სათუო იყო ჩემპიონატში ბათუმელთა გამოსვლა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თანხა გამოინახა, ზღვისპირელები შეჯიბრებაში ჩაებნენ და გუშინ, ტურნირის გახსნის დღეს მშვენიერი შთაბეჭდილებაც დატოვეს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მეტად სასიხარულოა ათი წლის შემდეგ უძლიერესთა შორის სამტრედიელთა გამოჩენაც.



ირაკლი კუჭუხიძე ქუთაისელთა მორიგ იერიშს აგვირგვინებს

ბათუმ-სამტრედიის დაპირისპირება უფრო საინტერესო და მწვავე იყო, ვიდრე „ქუთაისის" და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის ჭაბუკთა (1988 წელს და უფრო გვიან დაბადებულები) შეხვედრა. ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა სამტრედიელმა მერაბ ჯოჯუამ, მალე მეორე გოლიც მიაყოლა, თითოც ავთანდილ ქავზინაძემ და ბადრი ხვიჩიამ გაიტანეს და საწყის ხუთ წუთში „მშრალი" უპირატესობაც მოიპოვეს — 4:0.

ბათუმელებმა თანდათან დაალაგეს დაცვა და შეტევაშიც მიზანი გაისწორეს. გამორჩეულად აქტიურობდა გუნდში უხნესი, 32 წლის მოთამაშე-მწვრთნელი ზურაბ ურუშაძე, რომელსაც თავადაც გაჰქონდა გოლები და თანაგუნდელებს ზუსტი პასებითაც „ხსნიდა". მომდევნო ხუთ წუთში ანგარიში გათანაბრდა — 6:6, მერე კი ლაშა კაცაძის ზუსტი ტყორცნით „ბათუმი" პირველად დაწინაურდა, ტაიმის ბოლოს კი სხვაობამ ხუთ ბურთს მიაღწია — 16:11.

შესვენების შემდეგ საპირისპირო სურათი ვიხილეთ — ახლა უკვე „სამტრედიამ" უმატა აქტიურობას და ექვს წუთში გაქვითა ხუთგოლიანი ჩამორჩენა — 16:16. ამის შემდეგ ანგარიში კიდევ ათჯერ გაყაიმდა, თუმც მდევრის როლში ერთთავად ბათუმელები იყვნენ. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე ზურაბ მეხრიშვილმა ორი ზუსტი გასროლით კიდევ ერთხელ აღადგინა თანაფარდობა — 28:28. ალუდა ჯულაყიძემ კვლავ დააწინაურა „სამტრედია", მაგრამ ბოლო წამებზე ისევ მეხრიშვილმა დაუსვა ბრძოლას საყაიმო წერტილი — 29:29.

„ქუთაის" — „ჭაბუკებზე" ბევრიც არაა სათქმელი. წინა პირველობის ბრინჯაოს პრიზიორები თავიდანვე გაიჭრნენ წინ და სკოლელებს ერთხელაც არ გაათანაბრებინეს. ქუთათურებმა ტაიმი თითქმის ორმაგი სხვაობით მოიგეს — 17:9, შემდეგ კი უფრო გაზარდეს უპირატესობა. აღსანიშნავია, რომ ჭაბუკებს 12-ჯერ გაუტანა ლამის ყველა ბოლო ჩემპიონატის მთავარმეგოლემ, 31 წლის უბერებელ-შეუცვლელმა ალექსანდრე ბოყოჩაძემ.

დღეს ასკ-ს დარბაზში ერთმანეთს შეხვდებიან „სამტრედია" — „ქუთაისი" და „საუ-მამული" — „ბათუმი". თამაშები 12 საათზე დაიწყება.

**გია ახალაძე**



# ამერიკელები ვერ გავქუჩეთ

**სამწუხარო** რეალობას ვერსად გავექცევით — ქართველმა ქალებმა საჭადრაკო ოლიმპზე ასვლა, სულ ცოტა, ორი წლით გადადეს. არადა, ჩვენი მანდილოსნები რეიტინგში მე-4 ადგილით იწონებდნენ თავს და ლიდერთა სამეულის კლასით დიდად არ ჩამორჩებოდნენ. ეს ფურცელზე, დაფებთან კი ვაგებთ... გუშინ 1:2 დავმარცხდით მესამერეიტინგოსან აშშ-სთან. დამაინტრიგებელი მატჩი შედგა მაია ჩიბურდანიძესა და გაამერიკელებულ უნგრელ ჟუჟა პოლგარს შორის, სადაც ჩვენი ნაკრების ლიდერმა წააგო. ვერც ნანა ძაგნიძემ გაუძლო ირინა კრუშის შემოტევებს, ხოლო ერთადერთი მოგება ლელა ჯავახიშვილმა ჩაიწერა, რომელმაც ამერიკელთა მესამე ნომერი ანა ზატონსკიხი დაამარცხა.

მოკლედ, ჩემპიონობაზე ოცნება ჩაილურის წყალმა წაიღო. მით უმეტეს, რომ ტემპაკრეფილმა ჩინეთმა გუშინ მთავარმოცილე რუსეთი 2:1 გაამწარა, კიდევ ერთმა ფავორიტმა უკრაინამ კი სენსაციურად წააგო საფრანგეთთან — 1:2. ცნობისთვის, ქართველებს 11 ქულა მოუგროვდათ და ჩინელებს 5 ქულით ჩამორჩებიან, მეორე ან მესამე ადგილზე გასვლა კი თავისუფლად შეიძლება.

სამაგიეროდ, ვაჟებმა გაიხსენეს გამარჯვების გემო და 37-ე საფეხურზე მყოფ ბოსნიელებს 3:1 სძლიეს. პალმებში ჩაფლულ ქალაქში პირველი პარტია მოიგო თამაზ გელაშვილმა. ბაადურ ჯობავასაც შემოემარცხა თავისი მეტოქე, ხოლო ზურაბ აზმაიფარაშვილი და მერაბ გაგუნაშვილი ქულის გაყოფაზე შეუთანხმდნენ ბოსნიელებს.

ჩვენს ვაჟებს 15,5 ქულა აქვთ და მე-12-17 ადგილზე განთავსდნენ. რაც შეეხებათ ლიდერ უკრაინელებს, მათ გუშინ პირველად გაუჭირდათ და ისრაელს მხოლოდ 2,5:1,5 აკმარეს. ვასილი ივანჩუკის გუნდს 19 ქულა აქვს და უახლოეს მდევარ რუსეთს ქულით უსწრებს.

**ილია ნანობაშვილი**

**ვაჟები. VI ტური**

**საქართველო 3:1 ბოსნია**

თამაზ გელაშვილი — ჟელკო ბოგუტი 1:0

მერაბ გაგუნაშვილი — ბორკი პრედჟოევიჩი 0,5:0,5

ბაადურ ჯობავა — ბოიან კურაჯიცა 1:0

ზურაბ აზმაიფარაშვილი — სუათ ატალიკა 0,5:0,5

**ქალები. VI ტური**

**საქართველო 1:2 აშშ**

მაია ჩიბურდანიძე — ჟუჟა პოლგარი 0:1

ნანა ძაგნიძე — ირინა კრუში 0:1

ლელა ჯავახიშვილი — ანა ზატონსკიხი 1:0

# როსო-ნერი-აძური

## მილანური ფერთარწყმა და გახუნებული ესპანეთი

საინტერესო და გამოსარჩევი გუშინდელ ტურში ბლომად მოხდა და ძნელი გადასაწყვეტია, მცირე მიმოხილვა რომელი მატჩით დავიწყოთ. ალბათ მაინც მილანური თამაშით, სადაც ერთმანეთს დაეჯახა ორი დიადი გუნდი, საამაყო ისტორიის მქონენი და მათმა ისტორიებმა პირველად როდი გადაკვეთეს ერთმანეთი. ამ ჯერზე ისტორიის კვეთა მილანელთათვის საამურად დასრულდა, თუმცა თამაშის შემხედვარე იტყოდით, რომ ანდრეი შევჩენკოს ერთი გოლის გარდა „მილანმა“ ვერაფრით დაჯაბნა „ბარსელონა“, თამაში კატალონიელებისა იყო. მეორე მხრივ კი, გამარჯვებულის გამოსავლენად მხოლოდ გოლებს თვლიან და არა ვთქვათ, ბურთის ძელისთვის გარტყმას, რაც შეცვლაზე შესულმა ანდრეს ინიესტამ ბოლო წუთზე მოახერხა.

ამ გამარჯვებით „მილანმა“ ცხრა ქულა დააგროვა სამი თამაშიდან და, ცხადია, ჯგუფის ლიდერია, „ბარსელონა“ კი პირველად დამარცხდა სეზონში.

ჯგუფის მეორე თამაშში „შახტარმა“ მიწასთან გაასწორა „სელტიკი“, რითაც ერთხელაც გამოაჩინა, რომ შოტლანდიური გრანდები ოდენ შოტლანდიაში არიან ასეთები და კონტინენტურ ევროპაში მათი სიდიადე არ ვრცელდება.

თუმცა მიწასთან გასწორებაზე თუ მიდგა საქმე, უპირველესად „ვალენსიას“ „ინტერისგან“ შერცხვენა უნდა ვახსენოთ.

„მესტალიაზე“ თამაში ისე დაიწყო, რომ გეგონებოდათ მასპინძლები გადაყლაპავენ სტუმრებსო, მაგრამ „ვალენსიას“ აგრესია მალევე განელდა, „ინტერისა“ კი მომძლავრდა და აი, შედეგიც. „ინტერმა“ განიმტკიცა ფავორიტის სახელი, „ვალენსია“ კი ნაღად აღარ არის ის გუნდი, ორჯერ ზედიზედ რომ გავიდა ლიგის ფინალში.

არც „პორტუა“ ის გუნდი, გაზაფხულზე ევროპის საკლუბო ჩემპიონი რომ შეიქნა. პორტუგალიელები პარიზში დამარცხდნენ.

„პორტუს“ ყოფილ მთავარ კაცს, ჟოზე მაურინიუს, ახლა „ჩელსის“ სადიდებლად რომ იღწვის, გუშინ პირველად შევნიშნეთ გულჩვილობა. უეფამ საუკეთესო მწვრთნელობისთვის დააჯილდოვა და ეს ჯილდო ცსკა-სთან თამაშის წინ თვით სერ ბობი რობსონმა გადასცა. სერ ბობი, მოგეხსენებათ, მაურინიუს მასწავლებელია, ხალხში მან გამოიყვანა. ჰოდა, ჯილდოს ჯადაცემისას მაურინიუ ალალად გადაეხვია მასწავლებელს. ამავე მატჩს „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩიც გულაჩუყებული უცქერდა, რაკი ცსკა-ც არ არის მისთვის გადამთიელთა გუნდი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ანგარიშის საქმე არ არის? ცსკა-ს „სიბნეფტი“ პატრონობს, რომელშიც აბრამოვიჩსაც აქვს მოზრდილი წილი. თუმცა ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენი საქმეა ვთქვათ, რომ „ჩელსიმ“ იოლად სძლია მეტოქეს.

„ვერდერს“ ცოტა გაუჭირდა. „ანდერლეხტი“ უგებდა და მერე მოუხდა ორი გოლის გატანა. ისე, ეგ რაა, თერთმეტი წლის წინ „ანდერლეხტი“ „ვერდერს“ სამი ბურთითაც უგებდა და გერმანელებმა ხუთი ბურთით უპასუხეს.

„არსენალმა“ „პანათინაიკოსს“ ვერ მოუგო, ფრედ ეთამაშა, მაგრამ სადაც სამართალია, „პანას“ ჰქონდა მოსაგები.

მეტი რა ვთქვათ, შანსების გასარჩევად ცხრილებს ჩახედეთ.

**კოტე კეკელა**

REUTERS




„ბარსელონას“ ამ სეზონში პირველი წაგება „მილანმა“ და ანდრეი შევჩენკომ აგემეს

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

### ჯგუფური ეტაპი. III ტური

#### E ჯგუფი

**პანათინაიკოსი 2:2 არსენალი**

0:1 ლიუნგბერგი (18), 1:1 გონსალესი (65), 1:2 ანრი (74), 2:2 ოლისადებე (81)

**პანათინაიკოსი:** ხალკიასი, მორისი, ვინტრა, გუმასი, კირიაკოსი, ბასინასი, მიტუ (ეპალე 77), კონსტანტინიდისი, სკაჩელი, ე. გონსალესი (საპანისი 90), კონსტანტინუ (ოლისადებე 64)

მწვრთნელი: ზდენეკ შჩასნი

**არსენალი:** ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ედუ, ფაბრეგასი, პირესი, ანრი, რეიესი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: გუმასი, ვინტრა, სკაჩელი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

20 000 მაყურებელი

**რუსენბორგი 1:2 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ფარფანი (26), 1:1 სტორფლორი (42), 1:2 დე იონგი (85)

**რუსენბორგი:** ე. იონსენი, რასელი, რისეტი, ჰოფტუნი, სტენსაასი, სტრანდი, სოლი, ვინსნესი, ჰელსტადი (ბრაატენი 65), ფ. იონსენი (ბრატბაკი 83), სტორფლორი

მწვრთნელი: ოლა-ბი რისე

**პსვ ეინდჰოვენი:** გომეში, ლუსიუსი, კოკუ, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, ფოგელი, ჯ. დე იონგი, ვენეგორ ოფ ჰესელინკი (სიბონი 90), ფარფანი (ბესლი 82)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: პარკი, რისეტი, პარკი

გაძევება: პარკი (90)

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

20 950 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| რუსენბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

IV ტური: 2 ნოემბერი

პსვ ეინდჰოვენი — რუსენბორგი

არსენალი — პანათინაიკოსი

#### F ჯგუფი

**მილანი 1:0 ბარსელონა**

1:0 შევჩენკო (31)

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (სერჟინიო 83), შევჩენკო (კრესპო 89), ინძაგი (ამბროზინი 76)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მარკესი, რონალდინიო, დეკო, ეტოო (ინიესტა 69), ლარსონი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: პუიოლი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

76 502 მაყურებელი

**შახტარი 3:0 სელტიკი**

1:0, 2:0 მატუზალემი (57, 63), 3:0 ბრანდაო (78)

**შახტარი:** ლაშტუვკა, ბარკაუანი, სტოიკანი, ლევანდოვსკი, რაცი, მატუზალემი, ტიმოშჩუკი, ვუკიჩი, აგაჰოვა (სრნა 82), ვორობეი (ბრანდაო 75), მარიკა (დულიაი 46)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

**სელტიკი:** მარშალი, ბალდე, ვარგა, მაკნამარა (მაკმანუსი 31), აგატი, პეტროვი, ლენონი, ჟუნინიო პაულისტა (მაკგიდი 70), სატონი (უოლესი 46), ჰარტსონი, ა. კამარა

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ჰარტსონი, ვარგა, ბარკაუანი, ბალდე, ჟუნინიო პაულისტა

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

28 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| შახტარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სელტიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

IV ტური: 2 ნოემბერი

ბარსელონა — მილანი

სელტიკი — შახტარი

#### G ჯგუფი

**ანდერლეხტი 1:2 ვერდერი**

1:0 ვილჰელმსონი (26), 1:1, 1:2 კლასნიჩი (36, 59)

**ანდერლეხტი:** ზიტკა, კომპანი, დე ბუკი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ჰასი (იაშჩუკი 67), ბასეჯიო, ერე (ლოვრე 64), ზეტერბერგი, დინდანე, მ. მპენზა

მწვრთნელი: უგო ბროოსი

**ვერდერი:** რაინკე, სტალტერი, პასანენი, ისმაელი, შულცი, ერნსტი, ბაუმანი, მიკუ, მანინი, კლოზე (ნ. ვალდესი 75), კლასნიჩი (ლაგერბლომი 86; ბანეცკი 90)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ისმაელი, სტალტერი, ვილჰელმსონი, შულცი

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

25 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:5 ინტერი**

0:1 სტანკოვიჩი (47), 0:2 ვიერი (49), 1:2 აიმარი (73), 1:3 ვან დერ მეიდე (76), 1:4 ადრიანო (81), 1:5 კრუზი (90)

**ვალენსია:** კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა (კორადი 66), დ. ნავარო, კარბონი, რუფეტე (ფიორე 82), ბარახა, ალბელდა, აიმარი, ანგულო, დი ვაიო

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

**ინტერი:** ფონტანა, კორდობა, ბურდისო (ხ. ძანეტი 46), მატერაცი, ფავალი, ემრე, კამბიასო, ვერონი, სტანკოვიჩი, ადრიანო (ხ. კრუზი 83), ვიერი (ვან დერ მეიდე 75)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ანგულო, ვერონი, კურო ტორესი, ფავალი, კარბონი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

44 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| ვერდერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

IV ტური: 2 ნოემბერი

ვერდერი — ანდერლეხტი

ინტერი — ვალენსია

#### H ჯგუფი

**ჩელსი 2:0 ცსკა**

1:0 ტერი (9), 2:0 გუდიონსენი (45)

**ჩელსი:** პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, გალასი, ბრიჯი, სმერტინი (პარკერი 84), ლამპარდი, მაკელელე, დაფი (ჯ. კოული 77), კეჟმანი (ტიაგუ 63), გუდიონსენი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

**ცსკა:** აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ოდია, სემაკი (კრაშიჩი 72), დანი კარვალიუ (ლაიზანსი 25), ჟირკოვი, ალდონინი, რახიმიჩი, ვაგნერი (დადუ 60)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

გაფრთხილება: კეჟმანი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

33 945 მაყურებელი

**პსჟ 2:0 პორტუ**

1:0 კორიდონი (30), 2:0 პაულეტა (32)

**პსჟ:** ლეტიზი, არმანი, იეპესი, პიერ-ფანფანი, პიშო, მბამი, ჩანა, როტენი (ბოშკოვიჩი 49), კორიდონი, პაულეტა (ლიუბოია 83), რეინალდო (ე. სისე 73)

მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

**პორტუ:** ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა (ბოსინგვა 76), პეპე, რიკარდუ კოშტა, დიეგო, კოშტინია (კვარესმა 52), მანიშე, კარლოს ალბერტო, მაკკარტი, დერლეი სილვა (პოსტიგა 69)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: პეპე, მანიშე, პიშო, სეიტარიდისი, ბოსინგვა

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

43 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| ცსკა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| პსჟ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| პორტუ | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

IV ტური: 2 ნოემბერი

პორტუ — პსჟ

ცსკა — ჩელსი

### ინგლისი

პირველი ლიგა

XIV ტური

ჩესტერფილდი 4:0 სტოკპორტი

ბარნსლი 1:3 დონკასტერი

ჰალი 3:2 დონსი

### პოლონეთი

პირველი ლიგა

გადადებული მატჩი

ლეგია 2:1 გურნიკი

### დანია

სუპერლიგა

გადადებული მატჩი

რანდერსი 1:1 ესბიერგი

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩი

დალუმი 1:3 ფრემადი

### ნორვეგია

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

ალესუნდი 1:2 სტარტი

ჰაუგესუნდი 2:2 ბრინი

სტრიომსგოდსეტი 1:0 ვარდ ჰაუგესუნდი

### ფინეთი

თასის მეოთხედფინალი

ალიანსი 1:2 *მიუპა*

ჰაკა 2:1 ლაჰტი

ჰაამენლინა 1:1დ.დ.(პენ.5:4, 1:1) როვანიემი

პპ-70 1:3 *კლუბი-04*

### შვედეთი

თასის ნახევარფინალი

იოსტერსი 0:2 *იურგორდენი*

ჰამარბი — გიოტებორგი *დღეს*

### სლოვენია

სი მობილ ლიგა

გადადებული მატჩი

მარიბორი 0:3 ოლიმპია

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა

გადადებული მატჩი

უიპეშტი 2:0 მტკ

### სლოვაკეთი

თასის

პირველი ეტაპი

კრემნიჩკა 1:2 *ინტერი*

პეტრჟალკა 2:0 ნიტრა

ტრნავა 0:1 *ზლატე*

*ბანსკა ბისტრიცა* 4:1 პრევიძა

*ჟილინა* 3:0 დუშლო სალა


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე

ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე

უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი

კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge

ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge